



ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამა



პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება მსოფლიო ბანკის (World Bank Group) მიერ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან (IUCN) თანამშრომლობით

www.enpi-fleg.org

ტყეების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის პოტენციალის შეფასება საქართველოს სატყეო სექტორში

მერაბ მაჭავარიანი
სატყეო ექსპერტი

2014 წლის ივნისი



წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსზე, მასში მოყვანილ მონაცემებზე, მათ ინტერპრეტაციასა და გამოტანილ დასკვნებზე სრულად პასუხისმგებელია ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის გუნდი (www.enpi-fleg.org) და ეს პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გადმოსცემდეს განმახორციელებელი ორგანიზაციების თვალსაზრისს.



შინაარსი

აბრევიატურები	3
1. წინასიტყვაობა	4
1.1 საწყისი ინფორმაცია პროექტის შესახებ	4
1.2 კვლევის ამოცანები	5
2. სატყეო სამეურვეო საბჭოსთან (FSC) დაკავშირებული ფაქტები	6
2.1 ისტორია	6
2.2 ამოცანა და მიზანი	7
2.3 სტრუქტურა და მმართველობა	7
2.4 საქართველოს გამოცდილება	8
3. არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციონლური პირობები	9
3.1 სატყეო პოლიტიკა	9
3.2 ჩართული მხარეების ფუნქციები	11
3.2.1 სატყეო საკითხებზე პასუხისმგებელი და მასთან დაკავშირებული ეროვნული და ადგილობრივი ადმინისტრაციები	11
3.2.2 კერძო სექტორი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები	15
3.2.3. სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები	17
4. არსებული პრობლემები, დაბრკოლებები და სირთულეები	18
5. შესაძლებლობები	21
6. პრინციპებისა და კრიტერიუმების განხილვა	23
6.1 პრინციპი 1: შესაბამისობა კანონმდებლობასთან	23
6.2 პრინციპი 2: მშრომელთა უფლებები და სამუშაო პირობები	27
6.3 პრინციპი 3: მკიდრი მოსახლეობის უფლებები	29
6.4 პრინციპი 4: ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა	30
6.5 პრინციპი 5: ტყიდან მიღებული სარგებელი	34
6.6 პრინციპი 6: გარემოსდაცვითი ფასეულობები და ზემოქმედება	36
6.8 პრინციპი 8: მონიტორინგი და შეფასება	40
6.9 პრინციპი 9: მაღალი კონსერვაციული ღირებულებები	41
6.10 პრინციპი 10: მართვის ღონისძიებების განხორციელება	43
6.11 დასკვნები და რეკომენდაციები	45



7	FSC პრინციპების (მაღალი კონსერვაციული ღირებულების HCV ტყეების ჩათვლით) ასახვისათვის საჭირო საკანონმდებლო და სხვა ცვლილებები საქართველოს სატყეო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში	46
8	საბაზრო შესაძლებლობები ტყის სერტიფიცირებული პროდუქტებისთვის.....	48
9	საქართველოში ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ხელშესაწყობი ნაბიჯები ...	51
	გამოყენებული ლიტერატურა	53

აბრევიატურები

AAC	წლიური მოსაჭრელი მარაგი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
FSC	სატყეო სამეურვეო საბჭო
FC	საქართველოს ტყის კოდექსი
GD	მთავრობის დადგენილება (საქართველო)
IGI	ერთიანი საერთაშორისო ინდიკატორები
ILO	შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია
LGB	მმართველობის ადგილობრივი ორგანოები
MENRP	გარემოსა და ბუნერივი რესურსების დაცვის სამინისტრო (საქართველო)
NWFP	ტყის არამერქნული რესურსები
OECD	ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
P&C	FSC-ის პრინციპები და კრიტერიუმები
SFF	სახელმწიფო ტყის ფონდი
WB	მსოფლიო ბანკი

1. წინასიტყვაობა

1.1 საწყისი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული “სატყეო სექტორში კანონდარღვლების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა“ პროგრამის მიზანია დაეხმაროს მონაწილე ქვეყნებს სატყეო მმართველობის განმტკიცებაში საკუთარი სატყეო პოლიტიკის, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ასპექტების დახვეწის და საპილოტე ბაზაზე ტყის მდგრადი მართვის მოდელების განხორციელებაში. პროგრამა განხორციელდება ევროკავშირის ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ ევროპის შვიდ ქვეყანაში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინაში და რუსეთის ფედერაციაში.

პროგრამის საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული FLEG პროგრამის ფარგლებში გატარებული ინიციატივები. იგი განხორციელდება ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, ბოლო გადარიცხვის თარიღია 2017 წლის 30 ივნისი. პროგრამას აფინანსებს ევროპის კომისია მსოფლიო ბანკის (WB) მიერ ადმინისტრირებული ერთი დონორის სატრასტო ფონდის მეშვეობით. სომხეთსა და საქართველოში პროგრამის მუშაობის დასაფინანსებლად დამატებით სახსრებს გამოყოფს ავსტრიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (ADC). პროგრამის განხორციელებას ხელმძღვანელობს მსოფლიო ბანკი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირთან (IUCN) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან ერთად (WWF). პროგრამას აქვს განვითარებაზე მიმართული სამი მიზანი:

- 1) 2005 წ. სანკტ-პეტერბურგის FLEG მინისტრთა დეკლარაციის განხორციელების ხელშეწყობა მონაწილე ქვეყნებში და მონაწილე ქვეყნების მხარდაჭერა დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მისი განხორციელების უზრუნველყოფაში და შემდგომ საქმიანობაში (რეგიონალურ დონეზე).
- 2) სატყეო სექტორის პოლიტიკისა და სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტრუქტურების მიმოხილვა ან რევიზია (ან მიმოხილვის ან რევიზიის დროში გაწერილი გეგმის შემუშავება); ცოდნის გაღრმავება ტყის მდგრად მართვასა და ტყის კარგ მმართველობაში (ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციების ჩათვლით) და მხარდაჭერის აღმოჩენა მის განსახორციელებლად მონაწილე ქვეყნებში (ეროვნულ დონეზე).
- 3) ტყის მდგრადი მართვის მოწინავე გამოცდილების ტესტირება და დემონსტრირება და ტყის მმართველობის გაუმჯობესებული პრაქტიკის განხორციელებადობა სავსე დონეზე, საპილოტე სახით, ყველა მონაწილე ქვეყანაში (სუბ-ეროვნულ დონეზე).

პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები, რომლებსაც განახორციელებს WWF კავკასიის პროგრამ ოფისი (WWF-CauPO) მოიცავს ბიომრავალფეროვნებისა და

ტყეების ეკოსისტემების ფუნქციების შეფასებას, ტყეების სერთიფიკაციის პოტენციალის და შესაბამისი საბაზრო შესაძლებლობების კვლევას, ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვის ხელშეწყობას, ტყის ბუნებრივი ლანდშაფტების აღდგენას და ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას. ასევე ჩატარდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელობასთან და FLEG II პროგრამის შესაბამის როლთან დაკავშირებით.

FLEG II პროგრამის ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიკაცია. სერტიფიკაცია არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული, ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ტყის მდგრადი მართვის მისაღწევად. საქართველოს ტყეებს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური როლი და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ, რამაც შესაძლოა ხელსაყრელი პირობები შექმნას ტყის სერთიფიკაციისთვის.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ტყის სერთიფიკაციის განხორციელების პოტენციურ ეფექტიანობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. შესაბამისად, საჭიროა ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება, რომელიც სარწმუნოდ შეაფასებს საქართველოში ამ ინოვაციური, ბაზარზე დაფუძნებული ინსტრუმენტის გამოყენების დადებით და უარყოფით ასპექტებს. ეს ანალიზი ყურადღებას გაამახვილებს ტყის სერთიფიკაციის პოტენციალზე სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სქემის ფარგლებში.

1.2 კვლევის ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოში FSC სქემის ფარგლებში ტყის ნებაყოფლობითი სერთიფიკაციის განხორციელების პოტენციალის დემონსტრირება და კონკრეტული რეკომენდაციების მოწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ამ სფეროში წინსვლის მიღწევის ხელშეწყობა. კონკრეტული ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ:

- მკაფიოდ გავერკვეთ: ა) არსებულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ გარემოში საქართველოში ტყის ნებაყოფლობითი სერთიფიკაციის მხარდაჭერასთან მიმართებაში, და: ბ) სერტიფიცირებული ქართული ხე-ტყისა და ტყის არა-მერქნული პროდუქტებისთვის არსებულ საბაზრო შესაძლებლობებში;
- გავიაზროთ: ა) საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, რათა უკეთესად მოხდეს FSC-ის ძირითადი პრინციპების ასახვა (მათ შორის ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებებისთვის) ქართულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში და: ბ) სხვა საჭირო ნაბიჯები საქართველოში FSC -ზე დაფუძნებული ტყის ნებაყოფლობითი სერთიფიკაციის ხელშესაწყობად.

2. სატყეო სამეურვეო საბჭოსთან (FSC) დაკავშირებული ფაქტები

2.1 ისტორია

სურსათისა და სოფლის მეურნეობის გაეროს ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ტყეების ნახევარი უკვე სახეცვლილი, დეგრადირებული, განადგურებულია ან შეცვლილია მიწათსარგებლობის სახე. ამჟამად დარჩენილი ტყეების უმეტესი ნაწილი განიცდის უკანონო ექსპლუატაციას და იმყოფება ცუდი მართვის ქვეშ. FSC შეიქმნა ამ პრობლემებზე რეაგირებისთვის ტყეების გლობალური დეგრადაციის პირობებში.

FSC წარმოადგენს გლობალურ სისტემას, რომელიც ჩამოყალიბდა 1990-იან წლებში ტყეებისა და ტყის პროდუქტების სერთიფიცირების მიზნით. WWF-ის თვალსაზრისით, ეს ნებაყოფლობითი მექანიზმი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ბოლო ათწლეულის ერთერთი ყველაზე საინტერესო ინიციატივა ტყის უკეთესი მართვის ხელშესაწყობად. მსოფლიოში უკვე არსებობს რიგი ალტერნატიული ეროვნული და რეგიონალური ტყის სერთიფიკაციის ორგანოები.

ტყის მართვა FSC-ის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების მიხედვით გარემოსდაცვით მომსახურებას უწევს ადგილობრივ და მსოფლიო მოსახლეობას, უზრუნველყოფს რა სუფთა ჰაერით და წყლით, და წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებაში. FSC, პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით, აგვარებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ხე-ტყის უკანონო დამზადება, ტყეების მოსპობა და კლიმატის ცვლილება და დადებით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, გარემოს კონსერვაციაზე, სიღარიბის დაძლევაზე და სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გაძლიერებაზე.

FSC წარმოადგენს წევრების საერთაშორისო ასოციაციას. ეს არის პლატფორმა ტყის მესაკუთრეების, ხე-ტყის საწარმოების, სოციალური ჯგუფებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გაერთიანებისთვის, რათა ერთად მიაგნონ გადაწყვეტებს და გააუმჯობესონ ტყის მართვის პრაქტიკა. FSC-ის მუშაობის მიზანს წარმოადგენს ტყიანი ტერიტორიების მუდმივი არსებობის უზრუნველყოფა ტყის გონივრული მართვისა და კონსერვაციის გზით.

FSC-ის ლოგოპიტის გამოყენების მიზანია იმის ხაზგასმა, რომ პროდუქტის წარმოშობის წყარო საიმედოა - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაფერისი, სოციალურად სასარგებლო და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი. FSC-ის იარლიყი გამოიყენება მერქნული და არა-მერქნული პროდუქტების ფართო ასპექტისთვის, დაწყებული

ქალაქით და ავეჯით და დამთავრებული წამლებითა და სამკაულებით. ლოგოტიპი მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, რომ ტყის პროდუქტებისთვის განკუთვნილი დამოუკიდებელი, გლობალური და სანდო იარლიყის მქონე პროდუქტების შეძენით მხარი დაუჭირონ ტყის პასუხისმგებლობით მართვას.

2.2 ამოცანა და მიზანი

FSC-ის ამოცანას წარმოადგენს „მსოფლიოს ტყეების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაფერისი, სოციალურად სასარგებლო და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი მართვის ხელშეწყობა“.

ეს ამოცანა სრულდება გლობალური სტრატეგიის საშუალებით, რომელსაც ხუთი მიზანი გააჩნია:

1. მსოფლიოს მასშტაბით ტყის პასუხისმგებლობით მართვის ხელშეწყობა.
2. FSC სისტემების სარგებლის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
3. FSC სისტემის ერთიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
4. FSC-ის მიერ სერთიფიცირებული ტყეების პროდუქტებისთვის ბიზნეს-ღირებულების შექმნა.
5. გლობალური ქსელის გაძლიერება 1-4 მიზნების განსახორციელებლად.

FSC ამ მიზნების მისაღწევად მუშაობს იმ ღონისძიებების განხორციელების გზით, რომელთა მართვა და შემუშავება ხდება ექვსი პროგრამული მიმართულებით: ტყეები, პასუხისმგებლობის სისტემა, სოციალური პოლიტიკა, მონიტორინგი და შეფასება, ხარისხის გარანტია და ეკოსისტემური მომსახურება.

2.3 სტრუქტურა და მმართველობა

FSC წარმოადგენს საერთაშორისო საწევრო ორგანიზაციას, რომლის მმართველობის სტრუქტურა ეყრდნობა მონაწილეობას, დემოკრატიას, თანასწორობასა და გამჭვირვალობას.

FSC-ს მართვენ მისი წევრები, რომლებიც წევრიანდებიან მასში ან როგორც ინდივიდუალური პირები, ან როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, ხე-ტყით ვაჭრობა, სათემო ტყის ჯგუფები და ტყის სერთიფიკაციის ორგანიზაციები. წევრები მიმართავენ სამიდან - გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური - ერთერთ პალატაში გაწევრიანების თხოვნით. ყოველი პალატა დაყოფილია ჩრდილოეთ და სამხრეთ ქვე-პალატად, და ხდება ხმების შეწონვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ პალატებს ხმების 50-50% გააჩნდეთ. ეს სისტემა შეიქმნა სახვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფებს შორის გავლენის თანაბარი დანაწილების უზრუნველსაყოფად წევრთა რაოდენობის შეზღუდვის გარეშე.

FSC-ს გააჩნია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების სამი დონე: გენერალური ასამბლეა, დირექტორთა საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი.

გენერალური ასამბლეა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ეწყობა, შედგება წევრთა სამი პალატისგან და წარმოადგენს FSC -ის უმაღლეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. უკანასკნელი გენერალური ასამბლეა ჩატარდა 2011 წელს. ყოველ წევრს აქვს დასწრების, წინადადების ფორმულირების და წარდგენის და ხმის მიცემის უფლება. გენერალური ასამბლეა ყველას უქმნის შესაძლებლობას, რათა ერთმანეთს გაუზიარონ, ისწავლონ, შექმნან ახალი კავშირები და გაცვალონ და შეისწავლონ ბიზნეს-შესაძლებლობები ტყეებისთვის უკეთესი მომავლის შექმნის მიზნით.

FSC-ის დირექტორთა საბჭო ანგარიშმგებელია FSC -ის წევრების წინაშე. იგი შედგება 9 არჩეული პირისგან, რომლებიც წარმოადგენენ FSC -ის წევრებს და მხარდაჭერებს. გენერალური ასამბლეს ყოველი ქვე-პალატიდან აირჩევა დირექტორთა საბჭოს ერთი წევრი.

აღმასრულებელი დირექტორი, მულტი-კულტურული პროფესიონალური გუნდის მხარდაჭერით, ახორციელებს FSC-ის ყოველდღიურ მართვას FSC-ის საერთაშორისო ცენტრში. იგი ანგარიშმგებელია FSC -ის დირექტორთა საბჭოს წინაშე.

FSC -ის საერთაშორისო ცენტრი მდებარეობს გერმანიაში, ბონში, და გააჩნია FSC -ის ქსელური პარტნიორების დეცენტრალიზებული ქსელი, რომლებიც FSC -ის სახელით პროპაგანდას უწევენ ტყის პასუხისმგებლობით მართვას. FSC -ის ქსელურ პარტნიორებს შორის არიან FSC -ის ეროვნული ოფისები, FSC -ის ეროვნული წარმომადგენლები და FSC -ის ეროვნული საკონტაქტო პირები. ამჟამად FSC მუშაობს 80-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც არსებობს ტყეები.

2.4 საქართველოს გამოცდილება

არსებობს გარკვეული გამოცდილება საქართველოში FSC სისტემის დანერგვის მცდელობასთან მიმართებაში. ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესებსა და პირობებთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის 2005 წლის #132 დადგენილების მე-8 მუხლის მიხედვით, სალიცენზიო პირობები ლიცენზიის მფლობელებისგან მოითხოვს, რომ „ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინონ OECD-ის რომელიმე ქვეყანაში აკრედიტებული ეკო-აუდიტის ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა. დასკვნა, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეიცავდეს დასტურს, რომ ტყის მართვის გეგმა შეესაბამება მდგრადი მეტყევეობის პრინციპებსა და მოთხოვნებს, რომლებიც სატყეო სექტორში საქართველოს კანონმდებლობითაა წაყენებული.“ ამ სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზე ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიის მფლობელმა ზოგიერთმა კომპანიამ 2008-09 წლებში მოიწვია FSC -ის მიერ აკრედიტებული კომპანია მათ მიერ მომზადებული ტყის მართვის გეგმების მდგრადობის შესაფასებლად.

მოგვიანებით მთავრობამ ეს მოთხოვნა ამოიღო სალიცენზიო პირობებიდან. 2007 წ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტმა, საქართველოში ტყის დამოუკიდებელი სერტიფიცირების სისტემის შექმნის მიზნით, ხელი მოაწერა FSC -სთან პარტნიორობის ხელშეკრულებას. ასეთმა მიდგომამ სტიმული მისცა საქართველოში გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორს, WWF -ის კავკასიის პროგრამ ოფისის ხელმძღვანელობით, რათა შეექმნათ მუშა ჯგუფი როგორც FSC ეროვნული სტანდარტების შესამუშავებლად, ასევე ტრენინგების ჩასატარებლად და ამ სფეროში მათი პრაქტიკული გამოცდისთვის. ამ პროცესის თანმდევი ენთუზიაზმი მალევე თანდათანობით განელდა, რაც გამოწვეული იყო მთავრობის მხრიდან შესაბამისი ტყის რეფორმის გეგმის გზით მხარდაჭერის არარსებობით.

3. არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციონალური პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პოლიტიკური და ინსტიტუციონალური პირობების დადგენა, სახელდობრ, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მზადაა სექტორი ტყის დამოუკიდებელი სერტიფიკაციის დასაწყებად და რა პრობლემებისა და ბარიერების გადალახვაა საჭირო მისი ეფექტიანი განხორციელებისთვის. შესაბამისად, ამ მოკლევადიანი დავალების ფარგლებში, არ არის გათვალისწინებული ამ სექტორში ძირეული მიზეზების სრულმასშტაბიანი ანალიზის განხორციელება, თუმცა ამ სფეროში ადრინდელი კვლევების შედეგებზე დაყრდნობის შესაძლებლობამ¹ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო რიგი ძირითადი პრობლემების სწორად განსაზღვრას შემდგომი განხილვისთვის.

3.1 სატყეო პოლიტიკა

სატყეო პოლიტიკის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, სახელად „სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები საქართველოს სატყეო სექტორის განვითარებისთვის 2002-2010 წ.წ.“ - საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა 2002 წლის მაისში². დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ეს სექტორი ერთერთ უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და აღებული იყო ვალდებულება მისი განვითარებისათვის ეროვნული პოლიტიკის შემუშავების გზით, რაც სრულ შესაბამისობას იქნებოდა და ტყეების მდგრადი განვითარებისა და მართვის სფეროში

¹ RWA International, სატყეო სექტორის რაციონალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა: საქართველოს მთავრობა, 2003 წ.;

მერაბ მაჭავარიანი, სატყეო პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების ანალიზი ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, FAO FOE/FAOSEC, 2009 წ.;

მერაბ მაჭავარიანი, ტყის მართვის სტანდარტები და პრაქტიკა საქართველოში, ENPI FLEG პროგრამა, 2010წ.

² დოკუმენტს ხელი მოაწერა სახელმწიფო მინისტრმა.

გაეროს დადგენილების მოთხოვნებთან. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი ასევე წარმოადგენდა სამოქმედო გეგმას სატყეო სექტორის ეროვნული პოლიტიკისათვის.

2004 წელს საქართველო გახდა FAO/UNDP-ის მიერ ინიცირებულ NFPF პროცესში ჩართული პირველი ქვეყანა და დაიწყო საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება. პოლიტიკის ახალი დოკუმენტის პირველი მუშა ვერსია მზად იყო 2007 წელს, თუმცა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მისი შემდგომი განხილვა, დამტკიცების მიზნით, არ მომხდარა.

და ბოლოს, 2013 წ. დეკემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ავსტრიის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავებული „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“ რომლის საფუძველზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ წამოიწყო ეროვნული სატყეო პროგრამის შემუშავების პროცესი.

სატყეო პოლიტიკის ახალი დოკუმენტის მე-5 თავის 5.1.3 მუხლი - კონცეფციის ძირითადი მიმართულებები - განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში ტყის დამოუკიდებელი სერტიფიკაციის სისტემის შემუშავებას (იხ. ჩანართი 1):

ჩანართი 1

5.1.3 ქმედებები

5.1.3. განსახორციელებელი ქმედებები

ტყის მართვა უნდა განხორციელდეს განახლებული ტყის მართვის გეგმებით, რომლებიც შემუშავდება ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპების საფუძველზე, მათ შორის:

- ა) ტყის მართვის დაგეგმვის სისტემის რეგულირება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც სავალდებულო იქნება ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ყველა სუბიექტისთვის;
- ბ) საქართველოს ტყის ფონდის მართვის უზრუნველყოფა სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით და შესაბამისი სტანდარტებით, კერძოდ, ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ დამტკიცებული ტყის მდგრადი მართვის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;
- გ) ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიცირების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის რეგულირებასა და შემოწმებას, მათ შორის:
 - გ.ა) ტყის სერტიფიცირების ეროვნული სტანდარტის შემუშავების დასრულება და ამ სტანდარტის აღიარება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორებიც არიან ტყის მეურვეობის საბჭო (Forest Stewardship Council) და ტყეების სერტიფიცირების პროგრამა (Programme for the Endorsement of Forest Certification Schemes);
 - გ.ბ) ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების ხელშეწყობა ტყის მართვის განსახორციელებელი სახელმწიფო უწყებების ამოცანა უნდა გახდეს;
 - გ.გ) უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა ტყის მართვაში ჩართული კერძო კომპანიები ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირებით დაინტერესდნენ.

ამგვარად, საქართველოში არსებობს ოფიციალური ჩარჩო ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერთიფიკაციის დანერგვისთვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებების გასატარებლად.

3.2 ჩართული მხარეების ფუნქციები

3.2.1 სატყეო საკითხებზე პასუხისმგებელი და მასთან დაკავშირებული ეროვნული და ადგილობრივი ადმინისტრაციები

სატყეო სექტორში ინსტიტუციონალური მოწყობის ამჟამინდელი სურათის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა იმ სახელმწიფო ინსტიტუციების სისტემის რეფორმა, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს სატყეო ფონდის მართვასა და სარგებლობის უფლებისა და მართვის პასუხისმგებლობის მქონე ერთეულების საქმიანობის ზედამხედველობასა და კონტროლზე. ეს რეფორმები წარმოადგენს ნაწილს უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმებისა, რომლებიც მოიცავს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას და დამტკიცებას (შესრულდა 2013 წ.) და ახალი სატყეო კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებასა და მიღებას.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ფუნქციები (ANR), რომელიც პასუხისმგებელი იყო სატყეო საკითხებზე 2011 წლის მარტიდან 2013 წლის მაისამდე, გადაეცა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP), რაც მოიცავდა სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, აგრეთვე გრძელვადიანი ლიცენზიების მფლობელთა და იმ პირთა საქმიანობის ზედამხედველობასა და კონტროლს ჩათვლით, რომელთაც გააჩნდათ ტყითსარგებლობის უფლებები. ამ ცვლილების საფუძველზე ამ ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნა ცენტრალური დონის შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურები:

- ახალი სამსახური სამინისტროს სისტემაში - სატყეო პოლიტიკის სამსახური (FPS) - პასუხისმგებელია მინისტრისა და მინისტრის შესაბამისი მოადგილის წინაშე საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის გატარებასა და სატყეო კანონმდებლობის შემუშავებაზე.
- ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA) – პასუხისმგებელია ტყის ფონდის იმ ნაწილის მართვაზე, რომელშიც არ შედის დაცული ტერიტორიები და გრძელვადიანი ტყით სარგებლობის მიზნით გადაცემული ტერიტორიები. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განიხილავს საკითხს, რომ NFA-ს მიენიჭოს იმის უფლებამოსილება, რომ მიიღოს შემოსავალი ტყის პროდუქტების დამზადებისა და გაყიდვის, მათ შორის ხე-ტყის ჭრის და სხვადასხვა მომსახურების და ტურისტთა მომსახურების გზით.

- ახალი ინსპექცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - პასუხისმგებელია ფიზიკური და იურიდიული პირების, მათ შორის გრძელვადიანი ტყით სარგებლობის ლიცენზიების მფლობელთა საქმიანობის ლიცენზიის პირობებთან შესაბამისობის კონტროლზე.

სატყეო პოლიტიკის სამსახური

ამ სამსახურის ამოცანები და მიზნები აღწერილია მის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #18 ბრძანებით. ამ ერთეულის სამტატო განრიგი შედგება 5 ადამიანისგან. სამსახურის უფროსს ნიშნავს მინისტრი. დებულებით განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- მონაწილეობა სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში;
- კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;
- წინადადებების მომზადება სატყეო დარგში არსებული მოწინავე გამოცდილების დასაწერად;
- შესაძლებლობების განვითარების პროგრამების შემუშავება ტყის მმართველი ორგანოების გასაძლიერებლად;
- ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის გეგმების დამტკიცების უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

ეროვნული სატყეო სააგენტო

NFA-ს წესდება დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #25 ბრძანებით. წესდების მიხედვით, NFA წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მისი მიზნები, ამოცანები და ძირითადი უფლება-მოვალეობები მოყვანილია მე-2 ჩანართში.

სააგენტოს უფროსს ნიშნავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. სააგენტოს სტრუქტურა შედგება ცენტრალური ოფისისა და ცხრა რეგიონალური ოფისისგან. ცენტრალურ ოფისში შვიდი დეპარტამენტი:

- ა) ტყის აღრიცხვის;
- ბ) ტყით სარგებლობის;
- გ) ტყის მოვლა-აღდგენის;
- დ) ფინანსური;
- ე) იურიდიული;
- ვ) ადმინისტრაციული;
- ზ) ანალიტიკური.

ჩანართი 2

1. სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

ა) ტყის მოვლა და აღდგენა;
ბ) ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება.

2. სააგენტოს ძირითადი ამოცანებია:

ა) ტყის ფონდის მართვა;
ბ) ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;
გ) ტყის სარგებლობის რეგულირება;
დ) ტყის ფონდის ტერიტორიაზე კონტროლის (გარდა სალიცენზიო პირობებისა) განხორციელება;
ე) ტყის აღრიცხვის განხორციელება.

ძირითადი უფლება-მოვალეობები:

ტყის მოვლა და აღდგენა;
ტყის ფონდის მონიტორინგი და მონაცემთა დამუშავება;
ტყის ინვენტარიზაცია და მართვის დაგეგმვა;
ტყით უკანონო სარგებლობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და გატარება;
ტყის ხანძრების კონტროლი;
ხე-ტყის დამზადება არსებული წესების შესაბამისად;
დამზადებულ ხე-ტყეზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა;
ტყეკაფების გამოყოფა;
მონაწილეობა სატყეო კანონმდებლობის შემუშავებაში;
კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების ხელშეწყობა.

სააგენტოს მართვის ქვეშაა დაახლოებით 1,8 მლნ ჰექტარი სახელმწიფო ტყის ფონდი. საშტატო განრიგი, რეგიონალური ოფისების ჩათვლით, შედგება 869 ადამიანისგან, აქედან 83 პირი მუშაობს ცენტრალურ ოფისში, ხოლო დანარჩენი - რეგიონალურ ოფისებში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დეპარტამენტის დებულება დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #26 ბრძანებით. დებულებაში ჩამოთვლილია რიგი დეპარტამენტის ამოცანებისა, რომელთა შორისაა:

- ა) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში;
- ბ) ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გ) გარემოს დაზიანებების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- დ) გარემოსდაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიების/ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი;
- ე) საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში;

- ვ) გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებულ უფლებამოსილებათა საფუძველზე;
- ზ) კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების/ნებართვების პირობების შესრულების ანგარიშგების ანალიზი;
- თ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ი) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება;
- კ) საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე.

ადგილობრივი თვით-მმართველი ორგანოების უფლება-მოვალეობები სატყეო სექტორში

ადგილობრივი თვით-მმართველი ორგანოების უფლება-მოვალეობები სატყეო სფეროში რამდენჯერმე შეიცვალა დამოუკიდებლობის მიღების (1990 წ.) შემდგომ პერიოდში. საბჭოთა პერიოდში დაახლოებით 532 ათასი ჰექტარი ტყეების მართვას, რომლებიც ძირითადად დასახლებული ტერიტორიების მიმდებარედ იყო განლაგებული, ახორციელებდნენ კოლმეურნეობები (ე.წ. კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ტყეები). დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ეს ერთეულები ვეღარ უძლებდნენ ახალ ეკონომიკურ, სოციალურ და საბაზრო პირობებს და თანდათანობით დაიშალნენ; ამგვარად, ეს ტყეები სრულიად მართვის გარეშე დარჩნენ, სანამ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მათი სატყეო ორგანოების მართვის ქვეშ გადაცემაზე. მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო ეს ტყეები აღმოჩნდა ძლიერი ზეწოლის ქვეშ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, რომელიც შეშას და სხვა პროდუქტებს იღებდა ტყიდან აუცილებელი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ორგანიზებული ჯგუფების მხრიდან, რომლებიც ხე-ტყის უკანონო დამზადებას ეწეოდნენ კომერციული მიზნით. ამჟამად ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეები ყველაზე გაჩანაგებულ ტყიან ტერიტორიებს წარმოადგენს საქართველოში.

ადგილობრივი მნიშვნელობების ტყეების (ეს ტერმინი გამოიყენება საქართველოში ადგილობრივ/ სათემო ტყეებთან მიმართებაში) მართვის სამართლებრივ ასპექტებს არეგულირებს ორგანული კანონი³ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთავრობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წელს და რევიზიასა და ცვლილებების შეტანას დაექვემდებარა 2005 წ. და 2014 წ. ამ კანონების ყოველი ვერსია განსაზღვრავს ადგილობრივ ტყეებს, როგორც ადგილობრივი მართვის საგანს და აწესებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ უფლებას ადგილობრივი ტყის ფონდის/

³ ორგანული კანონი იერარქიის მიხედვით მესამე კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების შემდეგ.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში.

ასეთი ვალდებულებების მიუხედავად, ადგილობრივი თვით-მმართველი ორგანოების ძირითადი ფუნქცია ტყის მართვაში ამჟამად არის ცენტრალური მთავრობისთვის დახმარების გაწევა საშემე და სამრეწველო ხე-ტყეზე ადგილობრივი საჭიროებების განსაზღვრაში. როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მხრიდან აშკარაა მეტისმეტი სიფრთხილე ადგილობრივ დონეზე ტყის მართვის პრაქტიკული განხორციელების დაწყებასთან მიმართებაში, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ჯერჯერობით არ არის გამოყოფილი და შემოსაზღვრული ადგილობრივი ტყეები;
- არ არსებობს კანონქვემდებარე ბაზა (ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების დეტალური აღწერილობის ჩათვლით);
- არ არის ფინანსური საშუალებები;
- სუსტია პროფესიონალური გამოცდილება.

3.2.2 კერძო სექტორი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები

კერძო სექტორი

საქართველოში ამჟამად ხე-ტყის დამზადება ხდება მხოლოდ კერძო კომპანიების მიერ, ტყით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიების აღების შემდეგ. ამგვარად, ტყით სარგებლობაში და დამუშავებაში ჩართული კომპანიები ძირითად მხარეს წარმოადგენენ კერძო სექტორის მხრიდან. საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, ტყის რესურსებით გრძელვადიანი (20 წლამდე) ან მოკლევადიანი (5 წლამდე) სარგებლობის ლიცენზიის აღების შემდეგ, მოსარგებლე ვალდებულია, რომ ხე-ტყის რესურსების წარმოების პარალელურად უზრუნველყოს ტყის მართვის გეგმით გათვალისწინებული ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება. დღეისათვის დაახლოებით 180 ათასი ჰექტარი ტყეა გაცემული ტყით გრძელვადიანი სარგებლობის ლიცენზიების მფლობელებზე. ისინი ვალდებული არიან აწარმოონ საქმიანობა მთავრობის 2005 წ. აგვისტოს #132 დადგენილებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების შესაბამისად. ამ მოთხოვნებიდან ზოგიერთი მოყვანილია ქვემოთ, მე-3 ჩანართში.

სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები

ტყეებსა და მეტყევეობას საქართველოში სწავლობდა ორი ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ვასილ გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი, რომელიც 1945 წელს დაარსდა და მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს შემდეგ სფეროებში:

- ბიოლოგიური და ეკოლოგიური მახასიათებლების (ხის ჯიშები, გენეზისი, ბიო-ეკოლოგია, ტყის ზრდა და აღდგენა, კორომების ფორმირება, ბუნებრივი აღდგენა და ა.შ.) და ბიომრავალფეროვნების კვლევა საქართველოს ტყეებში;
- მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავება ტყეების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების გაუმჯობესების ხელშესაწყობად;
- მეცნიერული საფუძვლების შემუშავება ტყის რესურსების აღდგენისა და განახლების რაციონალური მეთოდებისთვის;
- ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება ტყის რესურსების რაციონალური და მდგრადი გამოყენებისთვის.

ჩანართი 3

მუხლი 8. ძირითადი სალიცენზიო პირობები:

1. ტყით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- a) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული ტყის ფონდის ტერიტორია, მას შორის, უკანონო ქმედებებისგან;
- b) ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში წარუდგინოს MEPNR-ს დასამტკიცებლად არსებული კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა. ტყით სარგებლობის გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება MEPNR-ის ბრძანებით.
- c) ყოველი წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს MEPNR-ს f) პუნქტში მითითებული დასკვნა;
- d) აიღოს პასუხისმგებლობა ტყით სარგებლობის გეგმის შესრულებაზე;
- e) არ გადასცეს და არ გამოყოს ლიცენზიის ნაწილი ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე;
- f) ლიცენზიის ნაწილის გამოყოფის შემთხვევაში უზრუნველყოს, რომ გამოსაყოფი ტერიტორია ტყის მოცემული ერთეულის საზღვრებშია;
- g) გამოყოს ტყეკაფები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
- h) შემდეგი წლის ტყეკაფების გამოყენება დაიწყოს მხოლოდ MEPNR-ის მიერ წინა წლის ჭრის შედეგების დამტკიცების (წინა წლის ტყეკაფების შემოწმების) შემდეგ.
- i) უზრუნველყოს ნიადაგის დაცვის ღონისძიებები მოცემულ ტერიტორიაზე ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- j) უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა.
- k) უზრუნველყოს ტყის მოვლის, აღდგენისა და დაცვის ღონისძიებების გატარება;
- l) ებრძოდოს უკანონო საქმიანობას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და დროულად მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს ინფორმაცია ასეთი შემთხვევების შესახებ.
- m) ხელი არ შეუშალოს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ საქმიანობას ტყის ფონდის მიწებით, შემით, სამრეწველო მერქნით და ტყის არამერქნული პროდუქტებით სარგებლობისას, გარდა სალიცენზიო ჩამონათვალში მითითებული შემთხვევებისა;
- n) ხელი არ შეუშალოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოცემული ტერიტორიით სარგებლობას ტურიზმისა და რეკრეაციისთვის;
- o) სატყეო ღონისძიებების განხორციელებისთვის სამუშაოზე დაიქირავოს არანაკლებ 80% ადგილობრივი მოსახლეობა იმ მუნიციპალიტეტ(ებ)იდან, რომელსაც მოიცავს ლიცენზია.

ლევან ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა იმ მავნებლების კვლევა, რომლებიც ზიანს აყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და ტყის სახეობებს და მავნებლებთან და მათ მიერ მიყენებულ ზიანთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდების შემუშავება. ინსტიტუტი მონაწილეობდა ბიოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტების კვლევებსა და მავნებლებსა და გარკვეულ ჯიშებს შორის არსებულ კავშირებთან დაკავშირებულ რიგ კვლევებში.

2010 წ. საქართველოს მთავრობამ სამეცნიერო-კლევით დაწესებულებებთან დაკავშირებით დაიწყო რიგი ცვლილებების განხორციელება, რომელთა მიზანს წარმოადგენდა მათი შერწყმა და გადაყვანა სხვადასხვა უნივერსიტეტების სისტემაში. სატყეო ინსტიტუტი და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი გადაეცა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს. იმავდროულად, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს მიენიჭა კერძო სტატუსი და ამ ინსტიტუტების მთელი პერსონალი და ქონება კერძო ხელში აღმოჩნდა. კერძო მფლობელმა განაგრძო „რეფორმები“, რომლებიც მიმართული იყო თანამშრომელთა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შემცირებისკენ და ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ტყის სექტორში სამეცნიერო ინსტიტუტები პრაქტიკულად აღარ არსებობს.

3.2.3. სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები

საზოგადოებრივი ორგანიზაციები – საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სატყეო სექტორის მდგრადი განვითარების და მისი ეფექტიანობის ხელშეწყობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს ტყის კოდექსის მე-10 თავის შესაბამისად, მოქალაქეებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ შემდეგი უფლებები:

- a) დროულად მიიღონ სრული და ობიექტური ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- b) მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ღონისძიებების დაგეგმვაში გეგმების შემუშავების ნებისმიერ ეტაპზე;

უნდა აღინიშნოს, რომ ამის შედეგად სატყეო ღონისძიებები ბევრად უფრო გამჭვირვალე გახდა და საზოგადოება უფრო აქტიურად ჩაება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარემოსდაცვითი ორგანიზაციები - დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაებნენ გარემოსდაცვით საკითხებში. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხდება მრავალი ისეთი პროექტის შემუშავება და განხორციელება, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრიობის ცნობიერების დონის ამაღლებისკენ, ბუნებრივი რესურსების არსებული მდგომარეობის კვლევისკენ, რესურსების მონიტორინგის, დაცვისა და მდგრადი გამოყენებისკენ. ტყის მართვის სფეროში მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ შორისაა WWF-ის კავკასიის პროგრამ ოფისი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, NACRES - სახეობათა კონსერვაციის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, CENN, REC, და სხვ.

გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობამ მნიშვნელოვანწილად აამაღლა საზოგადოების ცნობიერების და განათლების დონე.

ყოველივე ამან, თავის მხრივ, დადებითი ზემოქმედება მოახდინა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რაც თავის მხრივ აადვილებს ფართო საზოგადოების მიერ ტყის მართვის საკითხების უკეთ გააზრებას.

4. არსებული პრობლემები, დაბრკოლებები და სირთულეები

დამოუკიდებლობის მოპოვების (1990 წ.) შემდეგ საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე განახორციელა მცდელობა, რომ შეემუშავებინა ეფექტიანი გეგმა ტყის სექტორის რეფორმებისა, რომლების მიმართული იქნებოდა საუკეთესო ევროპული პრაქტიკისკენ, თუმცა ამ რეფორმების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სექტორის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა 1990-იანი წლების დასაწყისიდან. საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების საკითხის უკეთ გააზრებისთვის მიზანშეწონილია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი დავყოთ შემდეგ ეტაპებად:

1990-1999 წ.წ. - დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში საქართველოში სატყეო ღონისძიებები ხორციელდებოდა ყოფილი საბჭოთა კანონების საფუძველზე, მცირედენი ცვლილებებითა და შესწორებებით. ახალი ტყის კოდექსის მომზადება და მიღება მხოლოდ 1999 წელს მოხდა. კოდექსის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენდა ტყეების კერძო მფლობელობაში გადაცემის შესაძლებლობა შესაბამისი კანონის შემუშავების შემდეგ ⁴. კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა ადგილობრივი მმართველობებისა და საზოგადოების უფლება-მოვალეობები ტყის სექტორის დაგეგმვისა და მართვის სფეროში. მან ასევე შექმნა საქართველოს სატყეო სექტორის ორგანიზაციის, მართვისა და დაფინანსების სამართლებრივი საფუძველი. ერთერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას წარმოადგენდა ის, რომ კოდექსმა შემოიღო საზოგადოებრივი და კერძო ორგანოებისთვის გრძელვადიანი სარგებლობის უფლების მინიჭების შესაძლებლობა, თუმცა მიწა რჩებოდა სახელმწიფო საკუთრებაში. კოდექსის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტს ჩამოერთვა უშუალოდ ხე-ტყის კომერციული დამზადების უფლება, რათა გამიჯნულიყო კონტროლისა და ოპერირების ფუნქციები, და ეს უკანასკნელი გადასცა კერძო საწარმოებს.

1999–2003 წ.წ. - მსოფლიო ბანკის ტყის განვითარების პროექტის ⁵ ფარგლებში საქართველოს ტყის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესის დაწყების მიზნით, ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე, შემუშავდა და

⁴ ასეთი კანონი საერთოდ არ ყოფილა მიღებული.

⁵ პროექტის ინიცირება მოხდა 1995 წ., ხოლო ოფიციალურად დაიწყო 2001 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ.

მთავრობასთან შეთანხმდა სატყეო სექტორის ძირეული რესტრუქტურის გეგმა. რეფორმის ძირითადი აზრი მდგომარეობდა მკაცრად სამთავრობო ფუნქციების - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და რეგულირების გამიჯვნა ტყეების ფიზიკურ მართვასთან დაკავშირებული ფუნქციებისგან. ამ კონტექსტში ტყეების ფიზიკურ მართვაზე პასუხისმგებელ სააგენტოს (სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტს) ექნებოდა უფლება თავად ან ქართველ/ უცხოელ ინვესტორებთან ერთად ეწარმოებინა ხე-ტყის დამზადებისა და დამუშავების სამუშაოები და ფასიანი მომსახურება გაეწია არა-სახელმწიფო სატყეო ინსტიტუციებისა და კერძო პირებისთვის.

2004-2012 წ.წ. – „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2003 წლის ბოლოს მოსულმა ახალმა მთავრობამ არ განაგრძო 2003 წ. მომზადებული რეფორმების გეგმა. ამ პერიოდში მთავრობის ძირითად მიდგომას ბუნებრივი რესურსების, კერძოდ ტყის რესურსების მართვისადმი, წარმოადგენდა ძირითადი პასუხისმგებლობების სწრაფად განკერძოება და სახელმწიფოს მიერ ამ სფეროს დაფინანსების შესაძლებლობისამებრ შემცირება. ასეთი მიდგომის გამო სატყეო დეპარტამენტის ინსტიტუციონალური სტრუქტურა შეიცვალა რაიონული სატყეო ოფისების რეგიონალურ სატყეო ოფისებთან შერწყმის გზით, რასაც მოჰყვა თანამშრომელთა რაოდენობის მკვეთრად შემცირება. სატყეო დეპარტამენტის საშტატო განრიგი შემცირდა 2,6-ჯერ, 1694-დან 654-მდე. იმავდროულად, მთავრობამ შეაჩერა მსოფლიო ბანკის ტყის განვითარების პროექტი მისი ზოგიერთი გრძელვადიანი კომპონენტის გამო (სექტორის თანდათანობითი რესტრუქტურისა, ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნა, ტყის ინვენტარიზაციის ჩატარება და მართვის დაგეგმვა), რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მისი მიზნების რეალიზაციას. საბედნიეროდ, სწრაფი პრივატიზაციის იდეა დიდი ენთუზიაზმით არ მიუღია კერძო სექტორს, განსაკუთრებით უცხოელ ინვესტორებს, რის გამოც დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე კომპანიაა, რომელმაც ამ წლებში მიიღო ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზია. ეს პერიოდი მოკლედ შესაძლებელია დახასიათდეს, როგორც პერიოდი, როდესაც ეკონომიკური ინტერესები ეკოლოგიურ ასპექტებზე მაღლა იყო დაყენებული, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მთავრობა ხელს უწყობდა საქართველოში ტყის სერთიფიკაციის სისტემის შექმნას⁶.

2012 წლიდან დღემდე – ისევ, ახალი მთავრობის მოსვლამ მოიტანა სატყეო სექტორის განვითარების ახალი მიზნები და ამოცანები. ამ დროისთვის თვალსაჩინო პროგრესია საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიღება და სატყეო სექტორის ინსტიტუციონალური მოწყობის არსებული სისტემის რეორგანიზაცია. ბევრი რამაა გასაკეთებელი სატყეო კანონმდებლობის დახვეწის სფეროში, მათ შორის ტყის მართვის სტანდარტები, ტყის მართვაში ჩართული პერსონალის უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება, ტყის რესურსების შესახებ ინფორმაციის განახლება, სექტორის სახელმწიფო დაფინანსების სტაბილური სისტემის შექმნა და ა.შ. ეს არის აუცილებელი წინაპირობები საქართველოში ტყის დამოუკიდებელი სერთიფიკაციის პროცესის დასაწყებად.

⁶ 2007 წ. სატყეო დეპარტამენტმა, საქართველოს FSC სტანდარტის შემუშავებისა და მისი შესრულების მიზნით, ხელი მოაწერა FSC -სთან ერთიერთგაგების მემორანდუმს

ძირითადი პრობლემები, დაბრკოლებები და სიძნელებები, რომლებმაც შესაძლოა გაართულოს FSC სისტემის განვითარება საქართველოში, შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

ტყის მართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციები ბიუროკრატიული და მეტისმეტად ცენტრალიზებულია. ძალაუფლება კონცენტრირებულია ორგანიზაციების ცენტრალურ აპარატში. პერსონალს არ გააჩნია უფლებამოსილებები და დაქვემდებარებული ერთეულების ინიციატივები იბლოკება. მართვა ხორციელდება წერილობითი განკარგულებით; ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება MENRP-სა და NFA-ს ცენტრალური ოფისების პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

სუსტია ინსტიტუციონალური შესაძლებლობები. ინსტიტუციების დაფინანსება იზრდება, თუმცა არსებობს რიგი დაბრკოლებებისა, რომლებიც განსაზღვრავს გამოყოფილი ფინანსების არაეფექტურ გამოყენებას, რაც გამოიხატება: (i) ტყის ტერიტორიების უმეტესობისთვის გაუნახლებელ მართვის გეგმებში; (ii) ძირითადი სატყეო საქმიანობების, როგორცაა ტყის მოვლა და აღდგენა, გამომშორვა, მანვებლებისა და დაავადებების კონტროლი, ტყის ხანძრების მართვა და ა.შ. ცუდ დაფინანსებაში ან საერთოდ დაფინანსების გარეშე დატოვებაში; (iii) სატყეო პერსონალს ესაჭიროება პროფესიონალური და ტექნიკური განვითარება, რათა შეძლოს დაკისრებული ფუნქციების შესრულება, რისთვისაც არ არის საკმარისი სახსრები (iv) სატყეო ორგანიზაციების ფიზიკური ინფრასტრუქტურა უმჯობესდება, თუმცა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგია, როგორცაა ტყის მართვის ინფორმაციული სისტემა, არ არსებობს.

ტყესთან დაკავშირებული კანონები მრავლად შეიცავს კოლიზიებს და საჭიროებს შეცვლას. კანონების, განსაკუთრებით 2004 წლის შემდეგ მიღებული კანონების დებულებები წინააღმდეგობაშია ძირითადი კანონის - ტყის კოდექსის დებულებებთან. ისინი აწესებენ ურთიერთ-გადამფარავ უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს. მრავალი დებულება არაა მკაფიოდ გასაგები, რადგან ტერმინები არ არის სათანადოდ განმარტებული ან საერთოდ არ არის განმარტებული. ტყის კოდექსი და სატყეო ოპერაციების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების უმეტესობა საჭიროებს ჰარმონიზაციას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან.

სუსტია კორუფციული და უკანონო ქმედებების მოკვლევა და დასჯა. ოპერატიული შესაძლებლობების არარსებობა და არაეფექტური კონტროლი განსაზღვრავს კორუფციული და უკანონო ქმედებების გაგრძელების რისკს, მოკვლევის მხოლოდ მცირე რისკით. რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ოფიციალურად მიეცა საკუთარი საჭიროებებისთვის, უპირატესად სათბობი ხე-ტყის თავად დამზადების უფლება. შესაბამისი სატყეო ორგანოების სავსე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და შეზღუდული რაოდენობა კიდევ უფრო ართულებს ტყეში

მომუშავე უამრავი ადამიანის კონტროლირებას. ტყით სარგებლობაში ჩართული კერძო საწარმოები ცდილობენ, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, მაგრამ არასწორი ინფორმაცია მათ სალიცენზიო ფართობზე არსებული ტყის რესურსების შესახებ, და ვალდებულება, რომ არ შეაფერხონ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სათბობი შეშის მოპოვება უაღრესად აძნელებს მათ ფუნქციონირებას სამართლებრივ ჩანართიებში და ამასთანავე, ყოველივე ეს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ტყის ეკოსისტემებზე, იწვევს რა მათ დეგრადაციას და ზოგიერთ ტერიტორიაზე კარგვასაც კი.

5. შესაძლებლობები

არის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს საუკეთესო სატყეო პრაქტიკის, როგორც ქვეყანის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმის, შემოღების მოტივაციას, ასევე ამ პროცესის ამოქმედების საჭიროებას აპრობირებული ინსტრუმენტის - როგორცაა ტყის დამოუკიდებელი სერტიფიკაცია - გამოყენებით. ეს ფაქტორებია:

საქართველოს ფიზიკური გარემო

კავკასია, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს საქართველო, ერთერთი რეგიონია მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე 200 ეკო-რეგიონს შორის, რომლებიც განსაზღვრა WWF-მა. იმავედროულად, Conservation International-ის მიერ განსაზღვრული გლობალური ბიომრავალფეროვნების 34 „ცხელი წერტილიდან“ საქართველო კავკასიისა და ირან-ანატოლიის ცხელი წერტილების ნაწილს წარმოადგენს. ეს განპირობებულია მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა მაღალი მრავალფეროვნებითა და ენდემიზმით, რაც მნიშვნელოვანია მსოფლიოს მასშტაბით ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის.

საქართველო მდიდარია ტყეებით. სახელმწიფო ტყის ფონდის მთლიანი ტერიტორია შეადგენს 2822,5 ათას ჰა-ს ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6%-ს. ტყე, როგორც ბუნებრივი რესურსების ნაწილი, ფიზიკური გარემოს მნიშვნელოვანს კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, არსებობს გარემოსა და მაკროეკონომიკას შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირებისა და განხილვის საჭიროება. ქვეყნის მაკროეკონომიკა არსებით ზემოქმედებას ახდენს ტყის მართვაზე. მაკროეკონომიკური სტაბილურობა ქმნის ტყის კონსერვაციისთვის საჭირო პირობებს, ხოლო არასტაბილურობა, რომელიც ხასიათდება ინფლაციის მაღალი დონით, უზარმაზარი ფისკალური დეფიციტით, არასტაბილური სავალუტო კურსით, ეკონომიკის ზრდის დაბალი ან ნეგატიური მაჩვენებლით, აჩერებს ან წყვეტს ინვესტიციებს სატყეო სექტორში და ხელს უწყობს ტყის რესურსების ინტენსიურ და არაკონტროლირებად გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ შესაძლოა ვერ მიიღოს ტყის რესურსებით სარგებლობისგან ის სრული ღირებულება, რაც ასახავს ამ რესურსების რეალურ ღირებულებას. ამ პრობლემების მოგვარებას მთავრობა

აპირებს დარგობრივი პოლიტიკის პრაქტიკის დამკვიდრებით, რაც გვამლევს იმედებს, რომ ბოლოს და ბოლოს სატყეო სექტორი დაიკავებს სათანადო ადგილს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის.

სოციალური დამოკიდებულება

იზრდება სატყეო სექტორში არა-სამთავრობო დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის დონე და ჩართულობა. საქართველოს საზოგადოებრიობას გაცნობიერებული აქვს ადამიანის და ტყის რესურსების ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე საქართველოში და დარწმუნებულია, რომ საქართველოს ტყეები წარმოადგენს დიდი გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და სარეკრეაციო ღირებულების რესურსს, რომლის დაკარგვაც აუნაზღაურებელი იქნება. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლების დასაწყისში არა-სამთავრობო დაინტერესებული მხარეებისთვის მხოლოდ მცირე შესაძლებლობები იყო გადაწყვეტილებების მიღებაში და პოლიტიკის შემუშავებაში, პროგრამებსა და გეგმებში მონაწილეობისთვის. ბევრ დაინტერესებულ მხარეს არ ესმოდა სატყეო სექტორის მნიშვნელობა, ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ტყის აქტივების ღირებულებაზე, ეკონომიკური და ფინანსური პირობები, რომლებშიც ოპერირებს ტყის სექტორი, და სოციალურ-კულტურული ურთიერთქმედება ტყეებთან. საბედნიეროდ, საქართველოს საზოგადოებრიობა (ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი და ა.შ.) ნაბიჯ-ნაბიჯ აცნობიერებს სატყეო სექტორის მნიშვნელობას და ახორციელებს ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მცდელობას.

ტყის სექტორში ჩართულ კერძო კომპანიებს სურთ მუშაობა თანამედროვე, მკაფიო სამართლებრივ ჩანართებში, საუკეთესო ევროპული სტანდარტების შესაბამისად. სუსტი და არა-მკაფიო სამართლებრივი ბაზა და სატყეო მეურნეობის ოპერირების სტანდარტები, „ცხელი“ სოციალური გარემო და არაადეკვატური მონაცემები ტყის რესურსების შესახებ დარღვევების და უკანონო ქმედების მაღალ რისკს უქმნის მეწარმეებს და მუდმივად „დამნაშავე“ მდგომარეობაში აყენებს მათ. მთავრობის ნებისმიერი მცდელობას, რომ გააუმჯობესოს მათი სამუშაო გარემო, ექნება დადებითი გამოხმაურება და მხარდაჭერა კერძო სექტორის მხრიდან.

სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს ყველა ტყე, ტყეში არსებული რესურსები, მიწა, რომელზეც ტყეები იზრდება, და ყველა რესურსი მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ, წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკუთრებაში და მართვის ქვეშაა თითქმის ყველა ტყე, რაც იძლევა სატყეო პოლიტიკის ეროვნული მასშტაბით გატარების შესაძლებლობას. ეს მნიშვნელოვან წინაპირობაა, რომელიც აადვილებს ახალი სატყეო პოლიტიკის მიდგომების დანერგვას და განვითარებას მთელ ტყის საფარში როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

ეროვნული სატყეო პოლიტიკა (NFP). ცოტა ხნის წინ საქართველომ ოფიციალურად მიიღო სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი, რომ ტყის ეკოსისტემებმა უნდა უზრუნველყონ ყველა იმ ფუნქციის განხორციელება, რასაც საქართველოს საზოგადოება მოითხოვს და ელის. დოკუმენტში ასახული მიზნებისა და ამოცანების ფართო სპექტრში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში ტყის სერტიფიკაციის დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი სისტემის შექმნის ხელშეწყობასაც.

6. პრინციპებისა და კრიტერიუმების განხილვა

ამ თავის მიზანია FSC-ის ათი პრინციპიდან და შესაბამისი კრიტერიუმებიდან თითოეულის ანალიზი საქართველოს კანონმდებლობის პირობებში, რაც შესაძლებელს გახდის რიგი იმ საკითხების გამოვლენას, რომლებიც შეცვლას ან დახვეწას საჭიროებენ სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ ან პრაქტიკულ სატყეო საქმიანობაში, და ამგვარად, ტყის სერტიფიკაციის პროცესის განვითარების სათანადო საფუძვლის შექმნას.

FSC-ის პრინციპები და კრიტერიუმები პირველად 1994 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა, და შესწორებულ იქნა 1996 წ., 1999 წ. და 2001 წ. ამ კვლევის საფუძვლად გამოყენებულია 2012 წლის თებერვალში დამტკიცებული FSC-ის პრინციპები და კრიტერიუმები V 5-0. ეს ვერსია წარმოადგენს პრინციპებისა და კრიტერიუმების ძირეული განხილვისა და რევიზიის შედეგს, რომელიც FSC-მ დაიწყო 2009 წ. იანვარში და დასრულდა 2012 წ. თებერვალში. ეს დოკუმენტი შეიცავს FSC-ის პრინციპებსა და კრიტერიუმებს ტყის მეურვეობისთვის, და წარმოადგენს FSC-ის სერტიფიკაციის სისტემის ძირითად დოკუმენტს. პრინციპები და კრიტერიუმები შედგება პრეამბულისგან, ათი პრინციპისა და მათი შესაბამისი კრიტერიუმებისგან, და ტერმინთა განმარტებებისაგან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი - პრეამბულა, პრინციპები, კრიტერიუმები და ტერმინების განმარტება - ითვლება ნორმატივად.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპები და კრიტერიუმები ძალაში იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება FSC-ის უნივერსალური/ერთიანი საერთაშორისო ინდიკატორების (IGI) შემუშავება. (IGI) წარმოადგენს ინდიკატორების ერთობას, რომელიც FSC-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების (P&C) ახალ, მე-5 ვერსიას ეყრდნობა. მათი შემუშავება ხდება იმისთვის, რომ ყველა ეროვნული სტანდარტის შემუშავებისას არსებობდეს როგორც ამოსავალი წერტილი, ასევე შუალედური სტანდარტები რეგიონისთვის, სადაც ჯერ არ გამოიყენება სტანდარტები. IGI-ის თაობაზე 2013 წლის გაზაფხულზე ჩატარდა კონსულტაციები, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს საჯარო კონსულტაციების მეორე რაუნდი.

6.1 პრინციპი 1: შესაბამისობა კანონმდებლობასთან

ამ პრინციპის ტექსტი მოცემულია ქვემოთ, მე-4 ჩანართიში:

ჩანართი 4 – პრინციპი 1: შესაბამისობა კანონმდებლობასთან

ორგანიზაციის⁷ ქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა მოქმედ კანონთან, წესებთან და ეროვნულ დონეზე რატიფიცირებულ^{} საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, კონვენციებთან და შეთანხმებებთან.*

1.1 *ორგანიზაცია^{*} უნდა წარმოადგენდეს სამართლებრივად განსაზღვრულ პირს, მკაფიო, დოკუმენტირებული და უპრობლემო იურიდიული რეგისტრაციით^{*}, გააჩნდეს იურიდიულად კომპეტენტური^{*} ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი უფლებამოსილება კონკრეტულ საქმიანობაზე.*

1.2 *ორგანიზაციამ^{*} უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მართვის უბნის სამართლებრივი სტატუსი^{*}, მოვლისა^{*} და სარგებლობის^{*} უფლებების ჩათვლით, და მისი ფარგლები, მკაფიოდაა განსაზღვრული.*

1.3 *ორგანიზაციას^{*} უნდა გააჩნდეს მართვის უბნის^{*} ოპერირების უფლება, რომელიც მიესადაგება ორგანიზაციისა და მართვის უბნის სამართლებრივ სტატუსს^{*} და მისი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობით^{*} და რეგულაციებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ვალდებულებებს და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. სამართლებრივი უფლებები უნდა ითვალისწინებდეს მართვის ერთეულის საზღვრებში პროდუქტების დამზადებას და/ან ეკოსისტემური მომსახურების^{*} გაწევას. ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს ასეთ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლებრივად დაწესებული გადასახადები.*

1.4 *ორგანიზაციამ^{*} უნდა შეუმუშავოს და გაატაროს ღონისძიებები, და/ან ითანამშრომლოს მარეგულირებელ სააგენტოებთან, რათა სისტემატურად დაიცვას მართვის უბანი^{*} რესურსებით არაავტორიზებული ან უკანონო სარგებლობისგან, დასახლებისგან ან სხვა უკანონო ქმედებებისგან.*

1.5 *ორგანიზაციის^{*} საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობას^{*}, ადგილობრივ კანონმდებლობას^{*}, რატიფიცირებულ^{*} საერთაშორისო კონვენციებს და პრაქტიკის სავალდებულო კოდექსებს^{*}, რომლებიც დაკავშირებულია ტყის პროდუქტების ტრანსპორტირებასა და ყიდვა-გაყიდვას მართვის უბნის^{*} ფარგლებში და მისგან, და/ან პირველი გაყიდვის პუნქტამდე.*

1.6 *ორგანიზაციამ^{*} უნდა განსაზღვროს, ადგეთოს და მოაგვაროს დავები იურიდიული და ჩვეულებითი სამართლის საკითხებზე^{*}, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია სასამართლოს ჩაურევლად და დროულად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეების^{*} მონაწილეობით^{*}.*

1.7 *ორგანიზაციამ^{*} უნდა გაასაჯაროსო ქრთამის არ-შეთავაზების და არ-აღების ვალდებულება, ფულით ან კორუფციის ნებისმიერი სხვა სახით, და უნდა შეასრულოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოთხოვნები, სადაც ასეთი არსებობს. ანტიკორუფციული კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა მიიღოს სხვა ანტიკორუფციული ზომები,*

⁷ ვარსკვლავით მონიშნული ტერმინები განმარტებულია FSC-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების დოკუმენტში FSC-STD-01-001 (V5-0)

რომლებიც შეესაბამება მართვის ღონისძიებების *მასშტაბებს** და *ინტენსიურობას** და კორუფციის *რისკს**.

1.8 *ორგანიზაციამ** უნდა მოახდინოს *მართვის უზანაზე** FSC-ის *პრინციპების** და *კრიტერიუმების** და FSC -ის შესაბამისი პოლიტიკისა და სტანდარტების შესრულების გრძელვადიანი ვალდებულების დემონსტრირება. განცხადება ამ ვალდებულების შესახებ უნდა შედიოდეს *საჯაროდ ხელმისაწვდომ** დოკუმენტში, რომელიც უფასოა და ხელმისაწვდომი.

1.1 *ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს სამართლებრივად განსაზღვრულ პირს, მკაფიო, დოკუმენტირებული და უპრობლემო იურიდიული რეგისტრაციით, გააჩნდეს იურიდიულად კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი უფლებამოსილება კონკრეტულ საქმიანობაზე.*

ტერმინების განმარტების თანახმად, რომელიც P&C -ის ნაწილს შეადგენს, ორგანიზაცია ნიშნავს პირს ან ერთეულს, რომელსაც გააჩნია ან რომელიც ითხოვს სერტიფიკაციას და ამგვარად პასუხისმგებელია იმ მოთხოვნებთან შესაბამისობის დემონსტრირებაზე, რომლებსაც ეფუძნება FSC სერტიფიკაცია. საქართველომ შექმნა იურიდიული და ფიზიკური პირების რეგისტრაციის ძალიან მარტივი, მკაფიო და სწრაფი პროცედურა, რათა მათ მიენიჭოთ სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება, რომელსაც მართავს იუსტიციის სამინისტრო.

1.2 *ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მართვის უზნის სამართლებრივი სტატუსი, მოვლისა და სარგებლობის უფლებების ჩათვლით, და მისი ფარგლები, მკაფიოა და განსაზღვრული.*

საქართველოს ტყის კოდექსში (FC) (1999 წ.) მოცემულია სატყეო ტერიტორიების საბაზისო განმარტებები. კიდექსის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდი (SFF) განისაზღვრება, როგორც ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება კანონი. ტყის ფონდის შემდგომი დაყოფა შედარებით პატარა ერთეულებად გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული #179 კანონქვემდებარე დოკუმენტით „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების შესახებ“ (ბოლო ვერსია დამტკიცებულია 2013 წლის ივლისში). ტყის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები არეგულირებს ტყის მოვლისა და სარგებლობის უფლებების დებულებებს, ხოლო მუხლი 116 აწესებს ტყის ფონდის საზღვრების დადგენის წესებს.

1.3 *ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მართვის უზნის ოპერირების უფლება, რომელიც მიესადაგება ორგანიზაციისა და მართვის უზნის იურიდიულ სტატუსს და მისი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობით და რეგულაციებით გათვალისწინებულ იურიდიულ ვალდებულებებს და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. იურიდიული უფლებები უნდა ითვალისწინებდეს მართვის უზნის საზღვრებში პროდუქტების დამზადებას და/ან ეკოსისტემური*

მოსახურების გაწევას. ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს ასეთ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები.

ამ კრიტერიუმით გათვალისწინებული საკითხები მკაფიოდ რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით, კერძოდ, სატყეო საკითხები შესულია ტყის კოდექსში და დამატებით სამართლებრივ აქტებში, ასევე ტყით სარგებლობის ლიცენზიებსა და მათ პირობებთან დაკავშირებულ კონკრეტულ კანონებში და რეგულაციებში, ხოლო საგადასახადო კოდექსი არეგულირებს კანონმდებლობით დაწესებულ გადასახადებთან, მოსაკრებლებსა და სხვა სახდელებთან დაკავშირებულ საკითხებს.

1.4 ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებები, და/ან ითანამშრომლოს მარეგულირებელ სააგენტოებთან, რათა სისტემატურად დაიცვას მართვის უბანი რესურსებით არაავტორიზებული ან უკანონო სარგებლობისგან, დასახლებისგან ან სხვა უკანონო ქმედებებისგან.

ტყით გრძელვადიანი სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი კერძო კომპანიები, საქართველოს მთავრობის 2005 წლის აგვისტოს #132 ადგენილებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების შესაბამისად, სხვა მოთხოვნებთან (იხ. თავი 3.2.2, ჩანართი 3) ერთად, ვალდებულნი არიან „დაიცვან ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, უკანონო საქმიანობისგან დაცვის ჩათვლით“. უნდა აღინიშნოს, რომ MENRP -ის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან თანამშრომლობის გარეშე თავად ლიცენზიის მფლობელებს არ გააჩნიათ უკანონო შემთხვევების აღკვეთისთვის დაუყოვნებელი ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სუსტი შესაძლებლობებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემის მოპოვების მიზნით ტყეში საქმიანობასთან დაკავშირებით მინიჭებული ქმედების თავისუფლების გათვალისწინებით, უკანონო ქმედებების, მათ შორის გამოუმჯღავნებელი შემთხვევების რისკი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია.

1.5 ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობას, ადგილობრივ კანონმდებლობას, რატიფიცირებულ საერთაშორისო კონვენციებს და პრაქტიკის სავალდებულო კოდექსებს, რომლებიც დაკავშირებულია ტყის პროდუქტების ტრანსპორტირებასა და ყიდვა-გაყიდვას მართვის ერთეულის ფარგლებში და მისგან, და/ან პირველი გაყიდვის პუნქტამდე.

არსებობს სპეციალური სამთავრობო დადგენილება #96, რომელიც არეგულირებს ხე-ტყის გადაადგილებას მართვის ერთეულიდან დანიშულების პირველ ადგილამდე (გაყიდვა ან შემდგომი დამუშავება ან უბრალოდ გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წაღებული შემის შემთხვევაში). ამ დადგენილების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ხე-ტყის უკანონო გადაადგილების კონტროლი და ზოგ შემთხვევაში იგი ეფექტიან მექანიზმად გვესახება. თუმცა, მდგრადი სატყეო პრაქტიკის შესაქმნელად ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს

კორუფციისა და უკანონო ქმედებების რისკი და არა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია მათი გამოვლენისკენ.

1.6 ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, აღკვეთოს და მოაგვაროს დავები იურიდიული და ჩვეულებითი სამართლის საკითხებზე, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია სასამართლოს ჩაურევლად და დროულად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

ასეთი მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

1.7 ორგანიზაციამ უნდა გაასაჯაროსო ქრთამის არ-შეთავაზების და არ-აღების ვალდებულება, ფულით ან კორუფციის ნებისმიერი სხვა სახით, და უნდა შეასრულოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოთხოვნები, სადაც ასეთი არსებობს. ანტიკორუფციული კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა მიიღოს სხვა ანტიკორუფციული ზომები, რომლებიც შეესაბამება მართვის ღონისძიებების მასშტაბებს და ინტენსიურობას და კორუფციის რისკს.

საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქრთამებთან ან კორუფციის ნებისმიერ სხვა სახეებთან, არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, და ნებისმიერ სამეწარმეო საქმიანობაზე. ამგვარად, არ არსებობს დამატებითი სამართლებრივი საჭიროება, რომ ასეთი მოთხოვნები დაწესდეს სატყეო სფეროში, თუმცა, თუ ასეთი რამ მოხდება, ეს არ იქნება არსებულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში.

1.8 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მართვის უბანზე FSC-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების და FSC -ის შესაბამისი პოლიტიკისა და სტანდარტების შესრულების გრძელვადიანი ვალდებულების დემონსტრირება. განცხადება ამ ვალდებულებების შესახებ უნდა შედიოდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ* დოკუმენტში, რომელიც უფასოდაა ხელმისაწვდომი.

ეს კრიტერიუმი ამოქმედდება სერთიფიკაციის პროცესის პრაქტიკულად დაწყებისას.

დასკვნა 1-ლი პრინციპისთვის: აშკარა წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს შეუშლიდა პრინციპი 1-ის დანერგვას, არ აღინიშნება. სატყეო კანონმდებლობაში ტყის მენეჯერებისთვის კორუფციის საწინააღმდეგო დამატებითი მოთხოვნების შეტანამ შესაძლოა უზრუნველყოს არსებული კანონმდებლობის ზოგადი მოთხოვნების უფრო ეფექტიანი შესრულება.

6.2 პრინციპი 2: მშრომელთა უფლებები და სამუშაო პირობები

ჩანართი 5 – პრინციპი 2: მშრომელთა უფლებები და სამუშაო პირობები

ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს დასაქმებული მუშახელისათვის* შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური პირობები და მათი გაუმჯობესება.*

2.1 ორგანიზაციამ სამუშაო ადგილზე უნდა დაიცვას* პრინციპები და უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია ILO-ს დეკლარაციაში „ფუნდამენტური პრინციპები და უფლებები სამუშაო ადგილზე“ (1998 წ.) რომელიც ეფუძნება ILO-ს რვა ძირითად შრომით კონვენციას.*

2.2 ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ თანასწორობას* დასაქმების პრაქტიკაში, ტრენინგის შესაძლებლობებში, კონტრაქტების გაცემაში, ჩართულობის პროცესებში* და მართვის ღონისძიებებში.*

2.3 ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებები, რათა დაიცვას მშრომელები პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკებისგან. ეს პრაქტიკული ღონისძიებები, მართვის საქმიანობის მასშტაბების, ინტენსიურობისა და რისკის პროპორციულად, უნდა აკმაყოფილებდეს ან აღემატებოდეს ILO-ს სატყეო სამუშაოებში უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ღონისძიებების კოდექსის რეკომენდაციებს.*

2.4 ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს ხელფასი, რომელიც ტოლია ან აღემატება სატყეო დარგის სტანდარტების მინიმუმს ან სატყეო დარგის სხვა აღიარებულ სახელფასო ხელშეკრულებებს ამ სახელფასო მინიმუმს*, თუ იგი აღემატება კანონიერ მინიმალურ ხელფასს. თუ არცერთი მათგანი არ არსებობს, ორგანიზაციამ, მშრომელებთან* ერთად* უნდა შეიმუშავოს მექანიზმი სახელფასო მინიმუმის დასადგენად.*

2.5 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მშრომელებს უტარდებათ ტრენინგი და ზედამხედველობა, რათა უსაფრთხოდ და ეფექტიანად განახორციელონ მართვის გეგმა* და მართვის სხვა ღონისძიებები.*

2.6 ორგანიზაციამ მშრომელებთან* ერთად* უნდა შეიმუშავოს მექანიზმი საჩივრების მოგვარებისთვის და მშრომელებისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდისთვის ორგანიზაციისთვის მუშაობის პროცესში ქონების დაკარგვის ან დაზიანების, პროფესიული დაავადებების* ან პროფესიული ტრავმის* მიღების შემთხვევაში.*

მე-2 პრინციპის ყველა კრიტერიუმი რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ (2010 წ.). რაიმე სპეციფიური სტანდარტები სატყეო სექტორისათვის არ არსებობს. ამიტომ უმეტეს შემთხვევებში მშრომელთა უფლებები და შრომის პირობები, უკავშირდება ისინი სავალე სატყეო საქმიანობას თუ ქარხანას, საერთოდ არ არის დაცული. აშკარად საჭიროა როგორც სატყეო, მათ შორის სამრეწველო ოპერაციების მეთოდური მითითებების ან სახელმძღვანელოების შემუშავება სხვადასხვა სატყეო საქმიანობისთვის, სადაც უსაფრთხოების მოთხოვნების რეგულირებაც იქნება გათვალისწინებული.

დასკვნა მე-2 პრინციპისთვის 2: უნდა შემუშავდეს საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული FSC ეროვნული სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებული იქნება მშრომელთა უფლებებისა და სამუშაო პირობების, მათ შორის უსაფრთხოების გაძლიერებაზე.

6.3 პრინციპი 3: მკვიდრი მოსახლეობის უფლებები

ჩანართი 6 - პრინციპი 3: მკვიდრი მოსახლეობის უფლებები

ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს და დაიცვას* მკვიდრი მოსახლეობის* იურიდიული და ჩვეულებითი უფლებები* იმ მიწაზე, ტერიტორიაზე და რესურსებზე, რომლებიც მოექცა მათი საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ*

3.1 *ორგანიზაციამ* უნდა განსაზღვროს მართვის ერთეულში არსებული ან მართვის ღონისძიებების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მკვიდრი მოსახლეობა*. შემდეგ ორგანიზაციამ*, მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად*, უნდა განსაზღვროს მათი უფლებები მიწათსარგებლობასთან მიმართებაში, ტყის რესურსების და ეკოსისტემების მომსახურების* წვდომისა და გამოყენების უფლებები, მათ ჩვეულებითი უფლებები* და იურიდიული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მართვის ერთეულში. ორგანიზაციამ ასევე უნდა განსაზღვროს არეები, სადაც ასეთი უფლებები სადავოა.*

3.2 *ორგანიზაციამ* უნდა აღიაროს და დაიცვას* მკვიდრი მოსახლეობის* იურიდიული და ჩვეულებითი უფლებები*, რათა აკონტროლოს მართვის ღონისძიებები მართვის ერთეულში* ან მასთან დაკავშირებით იმ ზომით, რაც საჭიროა მათი უფლებების, რესურსებისა და მიწებისა და ტერიტორიების დასაცავად. მკვიდრი მოსახლეობის მიერ მართვის ღონისძიებების კონტროლის მესამე მხარისთვის გადაცემისთვის საჭიროა თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა*.*

3.3 *მართვის ღონისძიებების კონტროლის მესამე მხარისთვის გადაცემის შემთხვევაში ორგანიზაციას* და მკვიდრ მოსახლეობას* შორის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის* საფუძველზე უნდა დაიდოს დამავალდებულებელი ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს მისი ვადა, ხელახალი მოლაპარაკების, განახლების, შეწყვეტის დებულებები, ეკონომიკური პირობები და სხვა პირობები და დებულებები. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მკვიდრი მოსახლეობის მიერ ორგანიზაციის საქმიანობის მის პირობებთან და დებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგს.*

3.4 *ორგანიზაციამ* უნდა აღიაროს და დაიცვას* მკვიდრი მოსახლეობის* უფლებები, ტრადიციები და კულტურა, როგორც განსაზღვრულია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების გაეროს დეკლარაციაში (2007 წ.) და ILO-ს 169-ე კონვენციაში (1989 წ.).*

3.5 *ორგანიზაციამ*, მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად*, უნდა განსაზღვროს ადგილები, რომლებსაც განსაკუთრებული კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, რელიგიური ან სულიერი მნიშვნელობა ენიჭება და რომლებზეც ამ მკვიდრ მოსახლეობას გააჩნია იურიდიული ან ჩვეულებითი უფლებები*. ეს ადგილები აღიარებულ უნდა იქნას ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის მიერ და/ან დაცვის ღონისძიებები შეთანხმებულ უნდა იქნას მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობით.*

უმუალოდ საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს ტერმინს „მკვიდრი მოსახლეობა“, თუმცა არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც ვრცელდება მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობაზე - „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (1999 წ.), რომელიც ხელს უწყობს მათ კულტურას და ტრადიციულ საქმიანობებს, რომელთა შორის სატყეო მეურნეობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ

ზოგიერთ რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობა ინარჩუნებს მემკვიდრეობით უფლებებს ტყეებზე, რომლებიც წარსულში ეკუთვნოდა გარკვეულ ოჯახებს ან თემებს. ამგვარად, რეკომენდებულია, რომ საქართველოს FSC-ის შემუშავების პროცესში მე-3 პრინციპის სტანდარტული მოთხოვნები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან.

დასკვნა მე-3 პრინციპისთვის: საკითხი უნდა გაირკვეს ეროვნულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებულ ეროვნულ FSC სტანდარტში.

6.4 პრინციპი 4: ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა

ჩანართი 7 – პრინციპი 4: ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა

ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის* სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა და მისი გაუმჯობესება*

4.1 *ორგანიზაციამ* უნდა განსაზღვროს მართვის უბანზე არსებული ან მართვის ღონისძიებების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობა*. შემდეგ ორგანიზაციამ*, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად*, უნდა განსაზღვროს მათი უფლებები მიწათსარგებლობასთან მიმართებაში, ტყის რესურსების და ეკოსისტემების მომსახურების* წვდომისა და გამოყენების უფლებები, მათ ჩვეულებითი უფლებები* და იურიდიული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მართვის ერთეულში.*

4.2 *ორგანიზაციამ* უნდა აღიაროს და დაიცვას* ადგილობრივი მოსახლეობის* იურიდიული და ჩვეულებითი უფლებები*, რათა აკონტროლოს მართვის ღონისძიებები მართვის უბანზე* ან მასთან დაკავშირებით იმ ზომით, რაც საჭიროა მათი უფლებების, რესურსებისა და მიწებისა და ტერიტორიების დასაცავად. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მართვის ღონისძიებების კონტროლის მესამე მხარისთვის გადაცემისთვის საჭიროა თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა*.*

4.3 *ორგანიზაციამ* უნდა შექმნას გონივრული* შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობის* კონტრაქტორებისა და მომწოდებლების დასაქმების, ტრენინგისა და სხვა მომსახურებისთვის იმ ზომით, რაც შესაბამეა მის მიერ განხორციელებულ მართვას.*

4.4 *ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს დამატებითი საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის* მონაწილეობით, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, იმ ზომით, რაც შესაბამეა მის მიერ განხორციელებული მართვის მასშტაბებს, ინტენსიურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას.*

4.5 *ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს ქმედებები, ადგილობრივი მოსახლეობის* მონაწილეობით, რათა განსაზღვროს, თავი აარიდოს და შეარბილოს მის მიერ განხორციელებული მართვის ღონისძიებების მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე. ქმედება უნდა იყოს ამ ღონისძიებებისა და ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციული.*

4.6 *ორგანიზაციამ*, ადგილობრივი მოსახლეობის* მონაწილეობით, უნდა შექმნას მექანიზმი საჩივრების მოგვარებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ინდივიდებისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდისთვის ორგანიზაციის მართვის ღონისძიებებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან მიმართებაში.*

4.7 *ორგანიზაციამ*, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად*, უნდა განსაზღვროს ადგილები, რომლებსაც განსაკუთრებული კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, რელიგიური ან სულიერი მნიშვნელობა ენიჭება და რომლებზეც ამ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია იურიდიული ან ჩვეულებითი უფლებები*. ეს ადგილები აღიარებულ უნდა იქნას ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის მიერ და/ან დაცვის ღონისძიებები შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით.*

4.8 *ორგანიზაციამ* უნდა დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის* უფლება მისი ტრადიციული ცოდნის დაცვასა და გამოყენებასთან მიმართებაში და კომპენსაცია უნდა გასცეს ადგილობრივ მოსახლეობაზე ასეთი ცოდნისა და მათი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისთვის. სანამ მოხდება გამოყენება, ორგანიზაციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უნდა დაიდოს 3.3 კრიტერიუმით გათვალისწინებული მავალდებულებელი ხელშეკრულება ასეთ გამოყენებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის* საფუძველზე, და უნდა შეესაბამებოდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას.*

4.1 ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მართვის უბანზე არსებული ან მართვის ღონისძიებების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობა. შემდეგ ორგანიზაციამ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, უნდა განსაზღვროს მათი უფლებები მიწათსარგებლობასთან* მიმართებაში, ტყის რესურსების და ეკოსისტემების მომსახურების წვდომისა და გამოყენების უფლებები, მათ ჩვეულებითი უფლებები და იურიდიული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მართვის ერთეულში.

არსებულ სატყეო კანონმდებლობაში არ არსებობს დებულებები, რომლებიც ითხოვს მოცემულ სატყეო მართვის ერთეულში არსებული ან მასთან ახლოს დასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის განსაზღვრას. საქართველოს მოქალაქეების ზოგადი უფლებები აღწერილია ტყის კოდექსის 88-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ტყის თავისუფალ ხელმისაწვდომობას რეკრეაციის, ტურიზმის, ტყის არა-მერქნული პროდუქტების შეგროვებისთვის (NWFP) პირადი მოხმარების მიზნით, აგრეთვე ტყის მოვლას და მისი სიმდიდრის და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას, ხეებისა და ბუჩქების ტოტების არ დამტვრევას, ტყის მცენარეულობაზე ზემოქმედების არ მოხდენას, ბუნებრივი გარემოს არ დანაგვიანებას და სხვაგვარად არ დაზიანებას. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებით უფლებებს ტყის იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ესთეტიკურ და კულტურულ ფასეულობას, რელიგიური ღონისძიებების ადგილებს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ კანონქვემდებარე დოკუმენტში #179 „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის შესახებ“ არსებობს სპეციალური მოთხოვნა, რომ ტყის მართვის გეგმების შედგენის პროცესში მოხდეს ასეთი ადგილების დადგენა.

4.2 ორგანიზაციამ უნდა აღიაროს და დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის იურიდიული და ჩვეულებითი უფლებები, რათა აკონტროლოს მართვის ღონისძიებები მართვის უბანზე ან მასთან დაკავშირებით იმ ზომით, რაც საჭიროა მათი უფლებების, რესურსებისა და მიწებისა და ტერიტორიების დასაცავად. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მართვის ღონისძიებების კონტროლის მესამე მხარისთვის გადაცემისთვის საჭიროა თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა.

ამ კრიტერიუმის განხორციელება მოითხოვს სამართლებრივ საფუძველს. საუკეთესო გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ ტყის კოდექსი, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო კანონს სატყეო სექტორში, შესწორდეს შესაბამისი მუხლით, რომელიც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობისა და ტყის მმართველების ურთიერთობას; შემდგომი გაწერა შეიძლება მოცემულ იქნას კანონქვემდებარე დოკუმენტ(ებ)ში.

4.3 ორგანიზაციამ უნდა შექმნას გონივრული შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობის კონტრაქტორებისა და მომწოდებლების დასაქმების, ტრენინგისა და სხვა მომსახურებისთვის იმ ზომით, რაც შეესაბამება მის მიერ განხორციელებულ მართვას.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დადგენილების #132 „ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ მე-8 მუხლი - სალიცენზიო პირობები (იხ. პ. 3.2.2, ჩანართი 3) ითხოვს ლიცენზიის მფლობელებისგან, რომ უზრუნველყონ სატყეო ღონისძიებებისთვის დაქირავებული პერსონალის 80%-ს დაქირავება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან. რაც შეეხება ტრენინგს და სხვა სახის მომსახურებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის, კონტრაქტორებისა და მომწოდებლებისთვის, ტყის მენეჯერი თავად იღებს გადაწყვეტილებას - გააკეთებს თუ არა ამას.

4.4 ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს დამატებითი საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, იმ ზომით, რაც შეესაბამება მის მიერ განხორციელებული მართვის მასშტაბებს, ინტენსიურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას.

განხილულ უნდა იქნას ეროვნული FSC სტანდარტის შემშავების პროცესში.

4.5 ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ქმედებები, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, რათა განსაზღვროს, თავი აარიდოს და შეარბილოს მის მიერ განხორციელებული მართვის ღონისძიებების მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მოქვეულ მოსახლეობაზე. ქმედება უნდა იყოს ამ ღონისძიებებისა და ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის პროპორციული.

ამ კრიტერიუმის განხორციელება ითხოვს სატყეო ღონისძიებების (ტყის მართვის დაგეგმვა და სხვა ოპერაციები, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი

ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე) ჩართვას იმ ღონისძიებათა ოფიციალურ ჩამონათვალში, რომლებიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA).

4.6 ორგანიზაციამ, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, უნდა შექმნას მექანიზმი საჩივრების მოგვარებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ინდივიდებისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდისთვის ორგანიზაციის მართვის ღონისძიებებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან მიმართებაში.

ტყის მენეჯერებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ტყის მართვის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა ტყის კოდექსსა და სხვა კანონქვემდებარე დოკუმენტებში.

4.7 ორგანიზაციამ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, უნდა განსაზღვროს ადგილები, რომლებსაც განსაკუთრებული კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, რელიგიური ან სულიერი მნიშვნელობა ენიჭება და რომლებზეც ამ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია იურიდიული ან ჩვეულებითი უფლებები. ეს ადგილები აღიარებულ უნდა იქნას ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის მიერ და/ან დაცვის ღონისძიებები შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით.

ზემოთ აღნიშნული ანალოგიურია 4.1 კრიტერიუმის მოთხოვნისა. როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა, რომ ასეთ ადგილების წინასწარი განსაზღვრა უნდა მოხდეს ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში. ტყის მენეჯერებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შემდგომი ურთიერთობის შემდგომი დეტალები მოცემული უნდა იყოს ეროვნულ სტანდარტში.

4.8 ორგანიზაციამ უნდა დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის უფლება მისი ტრადიციული ცოდნის დაცვასა და გამოყენებასთან მიმართებაში და კომპენსაცია უნდა გასცეს ადგილობრივ მოსახლეობაზე ასეთი ცოდნისა და მათი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისთვის. სანამ მოხდება გამოყენება, ორგანიზაციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უნდა დაიდოს 3.3 კრიტერიუმით გათვალისწინებული მავალდებულებელი ხელშეკრულება ასეთ გამოყენებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, და უნდა შეესაბამებოდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას.

შეტანილ უნდა იქნას ეროვნულ FSC სტანდარტში.

დასკვნა მე-4 პრინციპისთვის 4: ეროვნული სტანდარტის შემუშავებასთან ერთად აშკარაა რიგი სამართლებრივი ცვლილებების განხორციელების საჭიროება. ასევე რეკომენდებულია სათანადო სატყეო კანონმდებლობაში შეიქმნას მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმები საზოგადოების მონაწილეობისთვის. ტყის დაგეგმვა და

გარკვეული ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს EIA პროცედურას. ასევე სატყეო კანონმდებლობის ნაწილს უნდა შეადგენდეს ტყის მენეჯერებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის იდენტიფიცირება სატყეო ღონისძიებების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე.

6.5 პრინციპი 5: ტყიდან მიღებული სარგებელი

ჩანართი 8 – პრინციპი 5: ტყიდან მიღებული სარგებელი

ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მისი მართვის ქვეშე მყოფი ტერიტორიიდან მიღებული პროდუქტების და მომსახურებების ეფექტური მართვა, რათა უზრუნველყოს მათი სოციალური და ეკოლოგიური სარგებელის ფართო სპექტრის შენარჩუნება ან გაუმჯობესება გრძელვადიანი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის* კონტექსტში*

5.1 *ორგანიზაციამ* უნდა განსაზღვროს, გასცეს, ან შესაძლებელი გახადოს გაცემა მრავალფეროვანი სარგებელის და პროდუქტებისა, მართვის უზანზღე* არსებული რესურსების და ეკოსისტემის სამსახურების* სპექტრიდან გამომდინარე, რათა განამტკიცოს და გაამრავალფეროვნოს ადგილობრივი ეკონომიკა* მართვის ღონისძიებების მასშტაბებისა* და ინტენსიურობის* პროპორციულად.*

5.2 *ორგანიზაციამ* ჩვეულებრივად უნდა აიღოს პროდუქტების მოსავალი და მიიღოს მომსახურებები მართვის უზნიდან* მუდმივად შენარჩუნებად დონეზე ან მასზე დაბლა.*

5.3 *ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ოპერირების პოზიტიური და ნეგატიური გარე ზემოქმედება* შესულია მართვის გეგმაში*.*

5.4 *ორგანიზაციამ* უნდა გამოიყენოს ადგილობრივი გადამუშავება, ადგილობრივი მომსახურებები და ადგილობრივი დამატებული ღირებულებულებები, ასეთების არსებობის შემთხვევაში, რათა დააკმაყოფილოს ორგანიზაციის მოთხოვნები, მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად. თუ ზემოთ აღნიშნული ადგილობრივად ხელმისაწვდომი არ არის, ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს გონივრული* მცდელობა, რათა ხელი შეუწყოს ასეთი მომსახურებების შექმნას.*

5.5 *ორგანიზაციამ*, დაგეგმვისა და მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციული ხარჯებით, უნდა მოახდინოს გრძელვადიანი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის* ვალდებულების დემონსტრირება.*

5.1 ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, გასცეს, ან შესაძლებელი გახადოს გაცემა მრავალფეროვანი სარგებელის და პროდუქტების, მართვის უზანზღე არსებული რესურსების და ეკოსისტემის სამსახურების სპექტრიდან გამომდინარე, რათა განამტკიცოს და გაამრავალფეროვნოს ადგილობრივი ეკონომიკა მართვის ღონისძიებების მასშტაბებისა და ინტენსიურობის პროპორციულად.

მრავალმიზნობრივი ტყის მართვის დაგეგმვა წარმოადგენს სატყეო სექტორში არსებული კანონმდებლობის (ტყის კოდექსი, კანონქვემდებარე აქტი #179 „ტყის რეგისტრაციის,

დაგეგმვისა და მონიტორინგის შესახებ“ და #242 „ტყით სარგებლობის წესების შესახებ“) მიზანს.

5.2 ორგანიზაციამ ჩვეულებრივად უნდა დაამზადოს პროდუქტები და მიიღოს მომსახურებები მართვის უზნიდან მუდმივად შენარჩუნებად დონეზე ან მასზე დაბლა.

მთავარი თანხვედრა ამ კრიტერიუმთან იმაში მდგომარეობს, რომ ტყის მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ ხე-ტყის დამზადება მდგრადობის საფუძველზე განსაზღვრული ჭრის წლიური დასაშვები მოცულობის (AAC) ფარგლებში. საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპია, რომ ხე-ტყის დამზადება ყოველთვის უნდა მოხდეს ტყის მართვის კონკრეტული უზნის წლიური ნამატის ფარგლებში, ან უფრო ნაკლები მოცულობით. საქართველო ხელმძღვანელობს ამ პრინციპით, რაც სამართლებრივად გამოიხატა ტყის კოდექსში (მუხლი 72). 2010 წ. იგი ამოღებულ იქნა ტყის კოდექსიდან და გადატანილ იქნა მთავრობის 2013 წ. #179 დადგენილებაში „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის შესახებ“. ვინაიდან AAC -ის გაანგარიშება მდგრადი მეტყევეობის ერთერთი ძირითადი პრინციპია, მკაცრად რეკომენდებულია ამ პრინციპის ხელახლა ჩართვა ჩარჩო კანონმდებლობაში (საქართველოს შემთხვევაში - სატყეო კოდექსში). არსებობს გარკვეული მოსაზრებები იმასთან მიმართებაშიც, რომ მიდგომები, რომლებიც გამოიყენება საქართველოში AAC -ის გაანგარიშებისთვის, მნიშვნელოვნად განსხვავდება მოწინავე ევროპული პრაქტიკისგან. კერძოდ, საქართველოში მხოლოდ მთავარი სარგებლობის ჭრის შედეგად მიღებული ხე-ტყე⁸ შეიტანება AAC-ში. ევროპული ქვეყნები AAC -ს გაიანგარიშებენ ამორჩევითი ჭრის ან სხვა სახის ჭრის ნებისმიერი ციკლიდან მიღებული მერქნის ჩათვლით, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ მდგრად დონეზე დაცვან მერქნის ბალანსი.

5.3 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ოპერირების პოზიტიური და ნეგატიური გარე ზემოქმედება შესულია მართვის გეგმაში.

ეროვნული სტანდარტის შემუშავების პროცესში უნდა მოხდეს ნეგატიურ გარე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ინდიკატორების შემუშავება.

5.4 ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს ადგილობრივი გადამუშავება, ადგილობრივი მომსახურებები და ადგილობრივი დამატებული ღირებულებები, ასეთების არსებობის შემთხვევაში, რათა დააკმაყოფილოს ორგანიზაციის მოთხოვნები, მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის პროპორციულად. თუ ზემოთ აღნიშნული ადგილობრივად ხელმისაწვდომი არ არის, ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს გონივრული მცდელობა, რათა ხელი შეუწყოს ასეთი მომსახურებების შექმნას.

⁸ კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში გამოყენებული ჭრის სისტემა, რომელიც ასევე საჭიროებს ძირეულ გადასინჯვას მოწინავე ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

როგორც 4.3 კრიტერიუმისთვის იყო აღწერილი, ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან ჩართონ ადგილობრივი მოსახლეობა სატყეო ღონისძიებებში. თუმცა ტყის კოდექსის 37 და 37¹ მუხლები კრძალავს მერქნის პირველად გადამუშავებას⁹ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, რამაც ბევრ სოფელში შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი (ადგილობრივი მოსახლეობა) განსახლებული არიან სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში. ამასთან მიმართებაში რეკომენდებულია ტყის კოდექსის გადახედვა.

5.5 ორგანიზაციამ, დაგეგმვისა და მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის პროპორციული ხარჯებით, უნდა მოახდინოს გრძელვადიანი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვალდებულების დემონსტრირება.

რეკომენდებულია ამ საკითხის ჩართვა ოფიციალურ რეგულაციაში ტყის მართვის დაგეგმვისთვის.

დასკვნები მე-5 პრინციპისთვის: ამ პრინციპის მოთხოვნების სათანადოდ შესრულებისთვის საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ: (i) AAC გაანგარიშების გამჭვირვალე მექანიზმის შემოღება ჩანართი კანონმდებლობის საშუალებით, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ჭრის შედეგად მიღებული ხე-ტყის ბალანსზე, (ii) SFF-ის ტერიტორიაზე მერქნის პირველადი გადამუშავების საკითხის ხელახალი განხილვა, (iii) ტყის მართვის დაგეგმვის დებულების რევიზია გრძელვადიანი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ელემენტების ჩართვის მიზნით.

6.6 პრინციპი 6: გარემოსდაცვითი ფასეულობები და ზემოქმედება

ჩანართი 9 – პრინციპი 6: გარემოსდაცვითი ფასეულობები და ზემოქმედება

ორგანიზაციამ მათი მართვის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე უნდა შეინარჩუნოს, დაიცვას/ან აღადგინოს ეკოსისტემის მომსახურებები* და გარემოსდაცვითი ფასეულობები* და თავიდან უნდა აიცილოს, შეარბილოს ან გამოასწოროს უარყოფითი ზემოქმედება*

6.1 ორგანიზაციამ* უნდა შეაფასოს გარემოსდაცვითი ფასეულობები* მართვის უბანზე* და ასეთი ფასეულობები მართვის უბნის გარეთ, რომლებზედაც მართვის ღონისძიებები პოტენციურ ზემოქმედებას მოახდენენ. ეს შეფასება უნდა განხორციელდეს ისეთი დეტალური მონაცემებითა და სიხშირით, რომელიც მართვის ღონისძიებების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციული იქნება, და საკმარისი იქნება საჭირო კონსერვაციის ღონისძიებების განსაზღვრისთვის და ამ ღონისძიებების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების მიკვლევისა და მონიტორინგისთვის.

⁹ არსებული რეგულაციის GD #46 “საქართველოს ტერიტორიაზე მრგვალი მორების პირველადი დამუშავების შესახებ” (2010 წ.) თანახმად, პირველად დამუშავებად ითვლება მორების დახერხვა სახერხ საწარმოში.

6.2 ტერიტორიაზე ცვლილებების გამომწვევი ღონისძიებების დაწყებამდე *ორგანიზაციამ** უნდა განსაზღვროს და შეაფასოს დადგენილ *გარემოსდაცვით ფასეულობებზე** მართვის ღონისძიებების პოტენციური ზემოქმედების *მასშტაბი, ინტენსიურობა და რისკი**.

6.3 *ორგანიზაციამ** უნდა განსაზღვროს და განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები, რათა მოახდინოს *გარემოსდაცვით ფასეულობებზე** მართვის ღონისძიებების ნეგატიური ზემოქმედების პრევენცია და შეარბილოს და აღადგინოს, თუ ამას მაინც ადგილი ექნება, ამ ზემოქმედების *მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის** პროპორციულად.

6.4 *ორგანიზაციამ** უნდა დაიცვას *იშვიათი სახეობები** და მათი *ჰაბიტატები** მართვის უბანზე *კონსერვაციული ზონების**, *დაცვის ზონების**, *შეკავშირების** და/ან (საჭიროების შემთხვევაში) სხვა პირდაპირი ღონისძიებებით, მათი გადარჩენისა და სიცოცხლისუნარიანობისთვის. ეს ღონისძიებები უნდა იყოს მართვის ღონისძიებების *მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის** და იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების კონსერვაციის სტატუსის და ეკოლოგიური მოთხოვნების პროპორციული.

როდესაც განსაზღვრავს მართვის უბნის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, *ორგანიზაციამ** უნდა გაითვალისწინოს იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გავრცელების გეოგრაფიული არეალი და მოთხოვნები მართვის უბნის ფარგლებს გარეთ.

6.5 *ორგანიზაციამ** უნდა განსაზღვროს და დაიცვას ადგილობრივი ეკოსისტემების წარმომადგენლობითი ნიმუშების ტერიტორიები და/ან აღადგინოს ისინი უფრო მეტად ბუნებრივ მდგომარეობამდე. თუ წარმომადგენლობითი ნიმუშების ტერიტორიები არ არსებობს, *ორგანიზაციამ** უნდა აღადგინოს *მართვის უბნის** პროპორცია უფრო მეტად ბუნებრივ პირობებამდე. ტერიტორიების ფართობი და მათი დაცვისა და აღდგენის მიზნით გატარებული ღონისძიებები უნდა იყოს ეკოსისტემების კონსერვაციის სტატუსისა და ღირებულების პროპორციული ლანდშაფტის დონეზე, და მართვის *მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის** პროპორციული.

6.6 *ორგანიზაციამ** ეფექტურად უნდა შეინარჩუნოს ბუნებრივად არსებული ადგილობრივი სახეობები და გენოტიპების უწყვეტი არსებობა და მოახდინოს *ბიოლოგიური მრავალფეროვნების** კარგვის პრევენცია, განსაკუთრებით *მართვის უბანზე** ჰაბიტატის მართვის გზით. *ორგანიზაციამ** უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მიიღება ეფექტური ზომები ნადირობის, თევზაობის, მახეების დაგებისა და შეგროვების მართვისა და კონტროლისთვის.

6.7 *ორგანიზაციამ** უნდა დაიცვას და აღადგინოს წყლის ბუნებრივი ნაკადები, წყლის ობიექტები, ჭალების ზონები და მათი ურთიერთკავშირი. *ორგანიზაციამ** თავი უნდა აარიდოს ნეგატიურ ზემოქმედებას წყლის ხარისხსა და რაოდენობაზე და თუ ეს მოხდება, მიიღოს ზომები აღდგენისა და შერბილებისთვის.

6.8 *ორგანიზაციამ** უნდა განახორციელოს მართვის უბანზე* *ლანდშაფტის** მართვა, რათა შეინარჩუნოს და/ან აღადგინოს სახეობების, ზომების, ასაკის, სივრცობრივი მასშტაბების და რეგენერაციის ციკლების მრავალფეროვანი მოზაიკა, რომელიც საჭიროა რეგიონის *ლანდშაფტურ ფასეულობებისთვის** და *გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სიმტკიცის* გამდიერებისთვის.

6.9 *ორგანიზაციამ** ბუნებრივი ტყე* არ უნდა გარდაქმნას „*პლანტაციებად*“, არც ბუნებრივი ტყეებს და ნარგაობებს უნდა შეუცვალოს მიწათსარგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომდესაც ასეთი ცვლილება:

- ა) ზემოქმედებას ახდენს *მართვის უბნის** ტერიტორიის მუხლუღულ ნაწილზე, და
- ბ) ხელს შეუწყობს მკაფიო, არსებითი, დამატებითი, უსაფრთხო, გრძელვადიანი კონსერვაციის სარგებელს მართვის უბანზე, და

გ) არ დააზიანებს ან საფრთხეს არ შეუქმნის არც *მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებს** და არც ამ მაღალი კონსერვაციული ღირებულებების შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის აუცილებელ ტერიტორიებსა და რესურსებს.

6.10 *მართვის უბნები**, რომლებიც მოიცავს 1994 წლის ნომბრის შემდეგ *ბუნებრივი ტყეების** შეცვლით მიღებულ ტერიტორიებზე მოწყობილ პლანტაციებს, ვერ მიიღებს სერტიფიკაციას გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) თუ წარდგენილ იქნება ნათელი და საკმარის მტკიცებულება, რომ *ორგანიზაცია** არ იყოს პირდაპირ ან ირიბად პასუხისმგებელი ან ცვლილებაზე, ან

ბ) ცვლილებამ ზემოქმედება მოახდინა *მართვის უბნის** ტერიტორიის ძალიან შეზღუდულ ნაწილზე და იძლევა მკაფიო, არსებითი, დამატებითი, უსაფრთხო, გრძელვადიანი კონსერვაციის სარგებელს მართვის უბანზე

საქართველოს სატყეო კანონმდებლობა სათანადოდ ზრუნავს გარემოსდაცვითი ფასეულობების დაცვაზე, რაც ასახულია როგორც ტყის კოდექსში, ასევე კანონქვემდებარე აქტებში, როგორცაა მთავრობის 2013 წ. #179 დადგენილება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის შესახებ“, მთავრობის 2005 წლის აგვისტოს #132 დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და მისი პირობების შესახებ“, მთავრობის 2019 წლის აგვისტოს #242 დადგენილება „ტყით სარგებლობის წესების შესახებ“. ყველა ეს აქტი საკმაოდ მტკიცე მოთხოვნებს აწესებს, რომ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ტერიტორიები და ფასეულობები დაცულ და აღდგენილ იქნას ტყის დაგეგმვისა და მართვის განხორციელების პროცესში, რისთვისაც უმთავრეს მიდგომას წარმოადგენს სამიზნე ტერიტორიის სათანადო ზონირება და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი და ეკოლოგიურად მგრძობიარე ტერიტორიების დადგენა მათი სათანადო კონსერვაციისა და შენარჩუნების მიზნით. ამ ელემენტს განსაკუთრებული ღირებულება და მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მთიან ტყეებში, როგორც საქართველოში გავრცელებული.

ქვემოთ მოცემულია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იმ ფასეულობების, ლანდშაფტებისა და სახეობების ჩამონათვალი, რომელიც უნდა განისაზღვროს და დადგინდეს დაგეგმვის ეტაპზე:

- წყალშემკრები აუზის ირგვლივ არსებული ტყეები (ტერიტორიები, რომლებიც ემსახურება სასმელი წყლის დაცვას);
- სუბალპური ტყეები;
- დაცვითი ზოლები მდინარეებისა და წყლის რეზერვუარების გასწვრივ;
- მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეები;
- ეკოლოგიური დერეფნები;
- განსაკუთრებული სარეკრეაციო, ესთეტიკური, კულტურული და სულიერი ღირებულების მქონე ტყეები;
- ტყეები, სადაც დომინირებს წითელ ნუსხაში შეტანილი, რელიქტური და ენდემური სახეობები;
- ტყის ზოლები ზვავსაშიში ადგილების გასწვრივ;
- 35⁰-ზე მეტად დაქანებულ ფერდობებზე განლაგებული ტყეები;

- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ტყეები (დაბალი სიხშირის, მეჩხერი, დეგრადირებული და ა.შ.).

პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვანწილად აფერხებს ტყის მენეჯერების ან ლიცენზიის მფლობელების მიერ ამ ვალდებულებების პრაქტიკულ განხორციელებას, მდგომარეობს ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტების არ არსებობაში, რომელთა გამოყენებაც ეფექტიანი ხელშემწყობი ინსტრუმენტი იქნებოდა საქართველოს ტყეების კონსერვაციისა და მდგრადი მართვისთვის. თუმცა ამ მიმართულებით დაწყებულია კონკრეტული ქმედებები, კერძოდ შემუშავების პროცესშია ტყეების ფუნქციონალური ზონირების სახელმძღვანელო რეკომენდაციები.

მე-6 პრინციპის დასკვნები 6: დეტალური ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკების შემუშავება გარემოსდაცვითი ფასეულობებისა და პოტენციური ზემოქმედების განსაზღვრის, შეფასებისა და მართვისთვის ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს წარმოადგენს მათი დაცვისა და კონსერვაციისთვის.

6.7. პრინციპი 7: მართვის დაგეგმვა

ჩანართი 10 – პრინციპი 7: მართვის დაგეგმვა

ორგანიზაციას* უნდა ჰქონდეს მათი მიზნების და ამოცანების* მიხედვით შემუშავებული ტყის მართვის გეგმა*, რომელიც შესაბამისობაში იქნება გათვალისწინებული სამეურნეო ღონისძიებების მასშტაბთან, ინტენსიურობასა და რისკთან*. მართვის გეგმის განხორციელება უნდა ხდებოდეს მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადაპტირებული/მისადაგებული მართვა*. მართვის გეგმასთან დაკავშირებული ქმედებები და შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია უნდა იყოს გასაგები ორგანიზაციის პერსონალისათვის გამოსაყენებლად და ზემოქმედების ქვეშ მყოფი* და სხვა დაინტერესებული მხარეების* ინფორმირებისათვის, ამასთანავე უნდა ასაბუთებდეს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

7.1 ორგანიზაციამ*, მის მიერ განხორციელებული მართვის ღონისძიებების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად, უნდა დასახოს მართვის პოლიტიკა (ხედვა და ღირებულებები) და ამოცანები* რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ჯანსაღი, სოციალურად სარგებლის მომტანი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია. ამ პოლიტიკისა და ამოცანების შესახებ მოკლე ინფორმაცია შეტანილი უნდა იყოს მართვის გეგმაში* და უნდა გამოქვეყნდეს.

7.2 ორგანიზაციას* უნდა გააჩნდეს და უნდა ახორციელებდეს მართვის გეგმას* მართვის უზნისთვის*, რომელიც სრულად შეესაბამება 7.1 კრიტერიუმში მითითებულ პოლიტიკასა და ამოცანებს. მართვის გეგმაში აღწერილი უნდა იყოს მართვის უზანზე არსებული ბუნებრივი რესურსები და განმარტებული უნდა იყოს, თუ როგორ დააკმაყოფილებს გეგმა FSC სერთიფიკაციის მოთხოვნებს. მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს ტყის მართვის დაგეგმვას და სოციალური მართვის დაგეგმვას დაგეგმილი ღონისძიებების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად.

7.3 მართვის გეგმა* უნდა მოიცავდეს შემოწმებად მიზნებს, რომელთა მიხედვითაც შემოწმდება წინსვლა მართვის ყოველი დასახული ამოცანისკენ*.

7.4 ორგანიზაციამ* უნდა განაახლოს და პერიოდულად რევიზია უნდა ჩაუტაროს მართვის დაგეგმვისა და პროცედურულ დოკუმენტაციას, რათა შეიტანოს მონიტორინგისა და შეფასების, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის* შედეგები ან ახალი სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე რეაგირება მოახდინოს ცვალებად გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებზე.

7.5 ორგანიზაციამ* საჯაროდ, უფასოდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მართვის გეგმის* რევიუმე, მართვის გეგმის სხვა შესაბამისი კომპონენტები, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა, მოთხოვნისამებრ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეებისთვის, ორგანიზაციის მიერ, დოკუმენტების ასლების გადაღებისა და მომზადების პროცედურების ხარჯების ანაზღაურებით.

7.6 ორგანიზაციამ*, მის მიერ განხორციელებული მართვის ღონისძიებების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად, პროაქტიურად და გამჭვირვალედ უნდა ჩართოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები მის მიერ მართვის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესებში, და მოთხოვნისამებრ უნდა ჩართოს დაინტერესებული მხარეები*.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს რიგი საკანონმდებლო დოკუმენტებისა, რომლებიც ქმნიან საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვის სისტემას, რომელიც, უმეტესწილად, მოიცავს FSC მოთხოვნებსაც. ეს სისტემა მოითხოვს მართვის გეგმის პერიოდულ რევიზიას (ყოველ 10 წელიწადში ერთხელ) და განახლებას. იმისთვის, რომ შემუშავებული მართვის გეგმები უფრო პრაქტიკული და ეფექტიანი იყოს, რეკომენდებულია წლიური ოპერაციული გეგმების მომზადების სამართლებრივი მოთხოვნის დაწესება.

დასკვნები მე-7 პრინციპისთვის: სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული პრაქტიკის დანერგვა წლიური ოპერაციული გეგმების შემუშავებისთვის, რაც დიდად შეუწყობს ხელს ტყის გრძელვადიანი მართვის გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

6.8 პრინციპი 8: მონიტორინგი და შეფასება

ჩანართი 11 - პრინციპი 8: მონიტორინგი და შეფასება

ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ პროგრესი, მიღწეული მართვის გეგმის მიზნების* განხორციელებაში, სამეურნეო ღონისძიებებით გამოწვეული ზემოქმედება და მართვის უზნის მდგომარეობა არის შესწავლილი და შეფასებული იმდაგვარად, როგორც ეს შეესაბამება გათვალისწინებულ სამეურნეო ღონისძიებების მასშტაბს, ინტენსიურობასა და რისკს* ადაპტირებული მართვის* განხორციელების მიზნით

8.1 ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს მის მიერ განხორციელებული მართვის გეგმის* მონიტორინგი, მისი პოლიტიკისა და ამოცანების* ჩათვლით, მისი და დაგეგმილი ღონისძიებების წინსვლის და მისი შემოწმებადი მიზნების მიღწევის მონიტორინგი.

8.2 *ორგანიზაციამ** უნდა განახორციელოს *მართვის უბანზე** განხორციელებული ღონისძიებების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების, აგრეთვე მის გარემოსდაცვით პირობებში ცვლილებების შეტანის მონიტორინგი და შეფასება.

8.3 *ორგანიზაციამ** უნდა გააანალიზოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და ამ ანალიზის შედეგები გაითვალისწინოს დაგეგმვის პროცესში.

8.4 *ორგანიზაციამ** უფასოდ *საჯაროდ ხელმისაწვდომი** უნდა გახადოს მოკლე ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა.

8.5 *ორგანიზაციას** უნდა გააჩნდეს მის მიერ განხორციელებული მართვის ღონისძიებების *მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის** პროპორციული თვალყურის დევნების სისტემა და უნდა იყენებდეს მას, რათა მოახდინოს წარმოშობისა და მოცულობის დემონსტრირება *მართვის უბანზე** დამზადებული იმ პროდუქტების ყოველი წლის პროგნოზირებული დამზადების პროპორციულად, რომლებიც ბაზარზე გაიტანება, როგორც სერტიფიცირებული.

ტყის გრძელვადიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს არსებული სატყეო პრაქტიკის შედეგის ტენდენციის შეფასებისთვის, განსაკუთრებით კი ეკოსისტემების ხარისხის, ჰაბიტატების და სახეობების მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილების დროული მიკვლევისთვის. მონიტორინგი იძლევა დაგეგმვისა და დროული ზომების მიღების საშუალებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების აღმოფხვრის/ მინიმიზაციისთვის. გარდა ამისა, მონიტორინგი მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მეტყევეობაში არსებული ან ახალი მიდგომების წარმატების შესაფასებლად.

ტყის მონიტორინგისა და შეფასების სამართლებრივ საფუძველს ქმნის ტყის კოდექსი (მუხლი 25) და მთავრობის 2013 წ. #179 დადგენილება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის შესახებ“, თუმცა მათში ეს საკითხები ძალიან ზოგადადაა განხილული. მიზანშეწონილია შემდგომი მუშაობა უფრო დეტალური დებულებებისა და მეთოდოლოგიის შესამუშავებლად, რათა დაიხვეწოს არსებული კანონმდებლობა. ამას ხელს შეუწყობს ეროვნულ FSC სტანდარტთან დაკავშირებული სამუშაოებიც.

დასკვნები მე-8 პრინციპისთვის: რეკომენდებულია ტყის მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობის რევიზია და დეტალური დებულებებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება.

6.9 პრინციპი 9: მაღალი კონსერვაციული ღირებულებები

ჩანართი 11 – პრინციპი 9: მაღალი კონსერვაციული ღირებულებები

ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მართვის უზანზღე* არსებული მაღალი კონსერვაციული ღირებულებების* შენარჩუნება და/ ან გაუმჯობესება პრევენციული მიდგომის პრინციპის* გამოყენებით*

9.1 *ორგანიზაციამ*, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების*, დაინტერესებული მხარეების* მონაწილეობით და სხვა საშუალებებითა და წყაროებით უნდა შეაფასოს და აღწესდეს შედეგი მაღალი კონსერვაციული ღირებულებების* არსებობს და მდგომარეობა მართვის უზანზღე*, მართვის ღონისძიებების ზემოქმედების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად, და მაღალი კონსერვაციული ღირებულებების შეხვედრის ალბათობა:*

HCV 1 - სახეობების მრავალფეროვნება. ბიოლოგიური მრავალფეროვნების* კონცენტრაციები, მათ შორის ენდემური სახეობების ან იშვიათი, საფრთხის და გადაშენების საშიშროების* ქვეშ მყოფი სახეობებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია გლობალურ, რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე.

HCV 2 - ლანდშაფტის დონის ეკოსისტემები და მოზაიკები. ლანდშაფტის დონის დიდი ეკოსისტემები* და ეკოსისტემების მოზაიკები რომლებიც მნიშვნელოვანია გლობალურ, რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე და რომლებიც შეიცავს ბუნებრივად გავრცელებული სახეობების დიდი უმრავლესობის სიცოცხლისუნარიან პოპულაციებს გავრცელებისა და სიუხვის ბუნებრივი წესით.

HCV 3 - ეკოსისტემები და ჰაბიტატები. იშვიათი, საფრთხის და გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი ეკოსისტემები, ჰაბიტატები* ან თავშესაფრები*

HCV 4 - კრიტიკული ეკოსისტემების მომსახურება. ძირითადი ეკოსისტემური მომსახურებები* კრიტიკულ სიტუაციებში, მათ შორის წყლის შემკრებების დაცვა და დაუცველი ნიადაგებისა და ფერდობების ეროზიის კონტროლი.

HCV 5 - ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები. ადგილობრივი მოსახლეობის* ან მკვიდრი მოსახლეობის* უმთავრესი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანი ადგილები და რესურსები (საარსებო წყარო, ჯანდაცვა, კვება, წყალი და ა.შ.), რომლებიც განისაზღვრა ამ ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობით.

HCV 6 - კულტურული ღირებულებები. გლობალურ ან ეროვნულ დონეზე ტრადიციული კულტურისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მკვიდრი მოსახლეობისთვის* კულტურული, არქეოლოგიური ან ისტორიული მნიშვნელობის და/ან კრიტიკული კულტურული, ეკოლოგიური, ეკონომიკური ან რელიგიური/ წმინდა მნიშვნელობის მქონე ადგილები, რესურსები, ჰაბიტატები და ლანდშაფტები*, რომლებიც განისაზღვრა ამ ადგილობრივი მოსახლეობის ან მკვიდრი მოსახლეობის მონაწილეობით.

9.2 *ორგანიზაციამ* ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების*, დაინტერესებული მხარეების* და ექსპერტების მონაწილეობით უნდა შეიმუშავოს ეფექტიანი სტრატეგია, რომელიც შეინარჩუნებს და/ან გაამდიერებს დადგენილ მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებს*.*

9.3 *ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს სტრატეგია და ღონისძიებები დადგენილი მაღალი კონსერვაციულ ღირებულებების* შენარჩუნებისა და/ან გაამდიერებისთვის. ამ სტრატეგიებსა და ღონისძიებებში გამოყენებული უნდა იყოს პრევენციული მიდგომა* და უნდა იყოს მართვის ღონისძიებების მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციული.*

9.4 *ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი, რათა შეაფასდეს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების* მდგომარეობის*

ცვლილებები, და უნდა მიუსადაგოს მართვის სტრატეგია, რათა უზრუნველყოს მათი დაცვა. მონიტორინგი უნდა იყოს მართვის ღონისძიებების *მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის** პროპორციული და უნდა მოიცავდეს *ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეთა**, დაინტერესებულ *მხარეთა** და ექსპერტების მონაწილეობას.

ტყეების მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დაცვასა და კონსერვაციასთან დაკავშირებული საკითხები გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორცაა ტყის კოდექსი და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. იგი უფრო დეტალურადაა აღწერილი მთავრობის 2005 წლის აგვისტოს #132 დადგენილებაში „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და მათი პირობების შესახებ“ (მუხლი 1¹). არსებობს არსებული კანონმდებლობის ურთიერთპარამონიზაციის, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებთან, ხელშეკრულებებსა და კონვენციებთან და გარემოს დაცვასა და ბუნების კონსერვაციასთან დაკავშირებულ უკვე შემუშავებულ და დამტკიცებულ ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიასთან პარამონიზაციის აშკარა საჭიროება. ასევე სასწრაფოდ საჭიროა მაღალი კონსერვაციული ღირებულებების განსაზღვრისა და მართვის დეტალური დებულებების და მეთოდოლოგიის შემუშავება.

დასკვნები მე-9 პრინციპისთვის: ტყის ჩარჩო კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს მკაფიო დებულებები ტყეების მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებთან მიმართებაში. უნდა დაიწყოს დამატებითი ნორმატული აქტების მომზადება.

6.10 პრინციპი 10: მართვის ღონისძიებების განხორციელება

ჩანართი 12 – პრინციპი 10: მართვის ღონისძიებების განხორციელება

მართვის ღონისძიებები, განხორციელებული ორგანიზაციის მიერ ან მისთვის მოცემულ მართვის უბანზე* უნდა იქნას შერჩეული, მისადაგებული და განხორციელებული ორგანიზაციის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიზნებისა და ამოცანების* მიხედვით და პრინციპების* და კრიტერიუმების* გათვალისწინებით*

10.1 ხე-ტყის დამზადების შემდეგ ან *მართვის გეგმის* შესაბამისად ორგანიზაციამ**, ბუნებრივი ან ხელოვნური რეგენერაციის მეთოდით, დროულად უნდა მოახდინოს მცენარეული საფარის აღდგენა დამზადებამდე ან უფრო ბუნებრივ მდგომარეობამდე.

10.2 *ორგანიზაციამ** ტყის აღდგენისათვის უნდა გამოიყენოს ადგილისადმი და *მართვის ღონისძიებებისადმი** ეკოლოგიურად კარგად ადაპტირებული სახეობები, *მკვიდრი სახეობები** და ადგილობრივი *გენოტიპები**, თუ არ არსებობს სხვათა გამოყენების მკაფიო და დამაჯერებელი დასაბუთება.

10.3 *ორგანიზაციამ** უცხო სახეობები* უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული ცოდნა და/ან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ნებისმიერი ინვაზიური ზეოქმედების გაკონტროლება და არსებობს ეფექტიანი შემარბილებელი ღონისძიებები.

10.4 *ორგანიზაციამ* მართვის უბანზე* არ უნდა გამოიყენოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები*.*

10.5 *ორგანიზაციამ* უნდა გამოიყენოს ისეთი სატყეო-სამეურნეო* პრაქტიკა, რომელიც ეკოლოგიურად შესაფერისია მცენარეული საფარისთვის, სახეობებისთვის, უზნებისთვის და მართვის მიზნებისთვის*.*

10.6 *ორგანიზაციამ* თავი უნდა აარიდოს სასუქების გამოყენებას მათი აღმოფხვრის მიზნით. სასუქების გამოყენების შემთხვევაში ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს გარემოსდაცვითი ღირებულებებისთვის* ზიანის მიყენების პრევენცია, შერბილება, და/ ან აღდგენა.*

10.7 *ორგანიზაციამ* უნდა გამოიყენოს ინტეგრირებული მავნებლების მართვისა და სატყეო-სამეურნეო* სისტემები, რომლებიც თავს არიდებს ქიმიური პესტიციდების* გამოყენებას, მათი აღმოფხვრის მიზნით. ორგანიზაციამ* არ უნდა გამოიყენოს FSC -ის პოლიტიკით აკრძალული ქიმიური პესტიციდები*. პესტიციდების გამოყენების შემთხვევაში ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს გარემოსდაცვითი ღირებულებებისთვის* ზიანის მიყენების პრევენცია, შერბილება, და/ ან აღდგენა.*

10.8 *ორგანიზაციამ* მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს, განახორციელოს მონიტორინგი კონტროლი ბიოლოგიური კონტროლის აგენტების* გამოყენებაზე საერთაშორისო დონეზე მიღებული სამეცნიერო პროტოკოლების* შესაბამისად. ბიოლოგიური კონტროლის აგენტების* გამოყენების შემთხვევაში ორგანიზაციამ* უნდა მოახდინოს გარემოსდაცვითი ღირებულებებისთვის* ზიანის მიყენების პრევენცია, შერბილება, ა/ ან აღდგენა.*

10.9 *ორგანიზაციამ* უნდა შეაფასოს რისკები და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებს ბუნებრივი საფრთხეებიდან გამომდინარე პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას, მასშტაბის, ინტენსიურობისა და რისკის* პროპორციულად.*

10.10 *ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს ინფრასტრუქტურის განვითარების, სატრანსპორტო ღონისძიებებისა და სატყეო მეურნეობის* მართვა ისე, რომ მოხდეს წყლის რესურსებისა და ნიადაგის დაცვა, და იშვიათი* ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების*, კაბიტატების*, ეკოსისტემების* და ლანდშაფტის ღირებულებების* შეცვლის ან დაზიანების პრევენცია, შერბილება და/ ან აღდგენა.*

10.11 *ორგანიზაციამ* უნდა განახორციელოს ხე-ტყის და ტყის არამერქნული პროდუქტების* დამზადებასა და ამოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების მართვა ისე, რომ მოხდეს გარემოსდაცვითი ღირებულებების* კონსერვაცია, გასაყიდად ვარგისი ნარჩენების შემცირება და სხვა პროდუქტებისა და მომსახურებებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება.*

10.12 *ორგანიზაციამ* ნარჩენი მასალები უნდა გაიტანოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაფერისი მეთოდით.*

ამ პრინციპში განსაზღვრული პირობების უმეტესობა გათვალისწინებულია არსებულ სატყეო კანონმდებლობაში, კერძოდ ტყის კოდექსში და დამატებით აქტებში (მთავრობის დადგენილებები #132, #179, #242). მათი შესრულების ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მათში მოცემულია ძალიან ზოგადი დებულებები, რომლებიც პრაქტიკაში სირთულეებს უქმნის ტყის მენეჯერებს. მაგალითად, არ არის ნათელი თუ რა უნდა

გააკეთონ მათ, რათა აკონტროლონ გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, ან როგორ განახორციელონ ნიადაგის ეროზიისგან დამცავი ღონისძიებები. ასევე ბუნდოვანია მავნებლების მართვის სატყეო მეურნეობის რონისძიებებთან ინტეგრირების საკითხები. საერთოდ არ რეგულირდება ბიოლოგიური კონტროლის საშუალებები (კრიტერიუმი 10.8). 2010 წელს ENPI FLEG პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის „ტყის მართვის სტანდარტები და პრაქტიკა საქართველოში“ შედეგებმა ასევე დაადასტურა, რომ საქართველოს არსებული სატყეო პრაქტიკა ძალიან შორს არის მდგრადი მეტყევეობის პრაქტიკისგან.

დასკვნები მე-10 პრინციპისთვის: მე-10 პრინციპის მოთხოვნების შესრულება მოითხოვს საუკეთესო ევროპულ სატყეო პრაქტიკასთან ჰარმონიზებულ ეროვნულ სტანდარტებსა და დებულებებს.

6.11 დასკვნები და რეკომენდაციები

FSC პრინციპებითა და კრიტერიუმებით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური პირობების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს საფუძვლიანი საწყისი მდგომარეობა, რომელიც საკმარისია რომ დაიწყოს FSC საქართველოში ტყეების სერტიფიკაციის სისტემის დანერგვა. ეს განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ოფიციალური ეროვნული სატყეო პოლიტიკა აღიარებს ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიკაციის ხელშეწყობის მნიშვნელობას;
- არსებული სატყეო კანონმდებლობის ზოგადი დებულებები ძირითადად შეესაბამება პრინციპებისა და კრიტერიუმების მოთხოვნებს;
- საქართველოს მიიღო გარკვეული გამოცდილება FSC სტანდარტების შემუშავებაში და მათ ტესტირებაში საველე პირობებში;
- სატყეო სექტორში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს (ადგილობრივ მოსახლეობას, სახელმწიფო და კერძო კომპანიებს, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს) გააჩნიათ მოტივაცია, რომ ხელი შეუწყონ საქართველოში FSC სერტიფიკაციის პროცესს.

იმავედროულად, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომლებიც საჭიროებენ დამუშავებას ან დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიკაციის შემდგომი განვითარება. ეს წინაპირობები ეხება:

- სატყეო სექტორში არსებული ჩარჩო კანონის რევიზიას;
- ევროპულ გამოცდილებასთან და FSC-ის მოთხოვნებთან ჰარმონიზებული სატყეო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავებას;



- ყოველმხრივი ტრენინგის სისტემის შემუშავებას სატყეო სფეროში დასაქმებულთათვის და პროფესიონალებს;
- ეროვნული FSC სტანდარტების შემუშავებას მიღებული საერთაშორისო/ერთიანი უნივერსალური ინდიკატორების საფუძველზე.

ამ დოკუმენტის შემდეგ ნაწილში უფრო დეტალურადაა განხილული, თუ რა სახის აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ცვლილებების გატარებაა საჭირო საქართველოში FSC პრინციპების ასახვისათვის.

7. FSC პრინციპების (მაღალი კონსერვაციული ღირებულების HCV ტყეების ჩათვლით) ასახვისათვის საჭირო საკანონმდებლო და სხვა ცვლილებები საქართველოს სატყეო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში

ეროვნულ სატყეო პოლიტიკაში (თავი 6) ნათქვამია, რომ ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს სატყეო კანონმდებლობის დახვეწა, რაც გულისხმობს:

- ა) ახალი ტყის კოდექსის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ან განახლებული სისტემებისა და მექანიზმების შექმნა, რომლებიც ამ კონცეფციის საფუძველზე განხორციელდება;
- ბ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მათ შორის, ტყის მართვის სტანდარტების განმსაზღვრელი ინსტრუქციების, ტყის მესაკუთრესა და საქართველოს ტყეების მართვისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს (თემები, კერძო სექტორი, სახელმწიფო და სხვა) შორის არსებული ურთიერთობის რეგულაციების, შემუშავება;
- გ) სხვა ძირითადი საკანონმდებლო აქტების ახალ ტყის კოდექსთან ჰარმონიზაცია.

ახალი ტყის კოდექსის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ან განახლებული სისტემებისა და მექანიზმების შექმნა, რომლებიც ამ კონცეფციის საფუძველზე განხორციელდება;

რეკომენდირებულია, რომ ახალ ტყის კოდექსში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი საკითხები:

- საზოგადოებრივი მონაწილეობის მკაფიო მექანიზმების დაწესება;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემოღება სატყეო ღონისძიებების დაგეგმვისა და სატყეო ოპერაციებისთვის;
- წლიური მოსაჭრელი მარაგის გაანგარიშების გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა ნებისმიერი სახის ჭრის შედეგად მიღებული მერქნის ბალანსის საფუძველზე;



- სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის პირველადი დამუშავების შესაძლებლობის საკითხის ხელახლა განხილვა;
- წლიური ოპერაციული გეგმების შემოღება ტყის გრძელვადიანი მართვის გეგმებით დასახული მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისთვის;
- მკაფიო დებულებების დაწესება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებისთვის.

ტყის კოდექსის შესრულებისთვის საჭირო მეორადი კანონმდებლობის მომზადება

შემდეგი არსებული საკანონმდებლო დოკუმენტები საჭიროებს რევიზიას:

- მთავრობის 2013 წ. #179 დადგენილება “ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების შესახებ“;
- მთავრობის 2005 წლის აგვისტოს #132 დადგენილება “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და მათი პირობების შესახებ“;
- მთავრობის 2010 წ. აგვისტოს #242 დადგენილება „ტყით სარგებლობის წესების შესახებ“.

უნდა მომზადდეს შემდეგი ახალი დებულებები:

- ტყის მაღალი კონსერვაციული ღირებულებების დადგენის, დაგეგმვისა და მართვის წესები;
- წლიური ოპერაციული გეგმის წარდგენის წესების, მისი ფორმის, შინაარსისა და დამტკიცების პროცედურების შესახებ;
- ტყის ხანძრების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვის, მონიტორინგისა და განხორციელების წესები;
- ტყის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვის, მონიტორინგისა და განხორციელების წესები;
- ტყის სტატუსის შეცვლის წესები¹⁰;
- სატყეო ტერმინები და განმარტებები;
- ტყის მართვასა და ღონისძიებებში ჩართული პერსონალის ტრენინგისა და აკრედიტაციის წესები.

გარდა ამისა, დიდი სამუშაოა გათვალისწინებული დეტალური ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების, ასევე ეროვნული სტანდარტის FSC მოსამზადებლად, რაც შექმნის ამოსავალ წერტილს საქართველოს ტყეების მდგრადი მართვისა და, შესაბამისად, ტყის სერთიფიკაციისთვის.

¹⁰ ამჟამად არსებულ სიტუაციაში ძალიან ბუნდოვანი დებულებებია ტყის მიწების სტატუსის (SFF) შეცვლასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია SFF -დან ბევრი ტყიანი ტერიტორიის ამორიცხვა.

7 საბაზრო შესაძლებლობები ტყის სერტიფიცირებული პროდუქტებისთვის

საქართველოს ტყის პროდუქტებზე (როგორც მერქნულზე, ასევე არა-მერქნულზე) მაღალი მოთხოვნაა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე. მსოფლიო ბანკის ¹¹ მიერ ინიცირებული კვლევის შედეგებით დადგენილია სატყეო სექტორის მაღალი ეკონომიკური პოტენციალი და მოცემულია გარკვეული ვარაუდები ტყეებიდან მიღებულ ეკონომიკურ შემოსავლებთან მიმართებაში (იხ. ქვემოთ, ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს ტყეებიდან მიღებული ტყის პროდუქტებისა და მომსახურებების პოტენციური წილის პოტენციური წლიური ეკონომიკური ღირებულების სავარაუდო შეფასება

პროდუქტი / მომსახურება	პოტენციური შემოსავლის ოდენობა (მლნ ლარი)
მრგვალი მორი	17,5
მერქანი	23,0
სოკო და თხილი	4,0
სამკურნალო მცენარეები	6,9
ნადირობა	0,7
თევზაობა	7,3
ძოვება	65,0
სულ	124,4

იმის გათვალისწინებით, რომ ცხრილში მოცემული არ არის ტყის როლის შეფასება ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროში, რასაც, ეჭვგარეშეა, დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია, ნათელი ხდება, რომ ამჟამად გამოიყენება საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო წილი. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ეკონომიკური სამუშაოები ტყის სექტორში.

მერქნის დამუშავება

1950 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად იჭრებოდა დაახლოებით 1,5 მლნ კუბური მეტრი ხე-ტყე. 1950 წლიდან, იმის გამო, რომ საქართველოს ტყეებს მიენიჭა პირველი კატეგორია, პირველადი გამოყენებისთვის განკუთვნილი მერქნული მასალების მოცულობა შემცირდა წელიწადში 432 ათას კუბურ მეტრამდე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1990 წ.) შეწყდა რუსეთიდან იაფი მერქნული მასალების შემოტანა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს ტყეებს, განსაკუთრებით საშემე მერქნის და

¹¹ საქართველოს ტყეების სტული ეკონომიკური შეფასება ტ. არინი, ჯ. სირი, 2000 წ.

მაღალი ხარისხის საექსპორტო წიფლის მორების მოპოვების გამო. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტის მონაცემებს.

ცხრილი 2. ხე-ტყის ექსპორტი საქართველოდან 1999 წ., იმპორტის განმახორციელებელი ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	ხე-ტყე			დამუშავებული მერქანი			სულ		
	მოცულ ობა (კუბ.მ)	ღირებუ ლება (USD)	ღირებ ულება (USD /კუბ.მ)	მოცულ ობა (კუბ.მ)	ღირებულ ება (USD)	ღირებუ ლება (USD /კუბ.მ)	მოცულ ობა (კუბ.მ)	ღირებულ ება (USD)	ღირებ ულება (USD /კუბ.მ)
სომხეთი				235	23000	98	235	23000	98
ავსტრია	34	3000	88				34	3000	88
ჩინეთი	1355	139000	103	569	89000	156	1924	228000	119
კვიპროსი	43	3000	70	1265	108000	85	1308	111000	85
ეგვიპტე	62	5000	81	801	43000	54	863	48000	56
საფრანგეთი	163	15000	92	186	14000	75	349	29000	83
გერმანია	175	22000	126	190	53000	279	365	75000	205
საბერძნეთი	571	58000	102	76440	215000	3	77011	273000	4
ინდოეთი				88	17000	194	88	17000	194
ირანი				624	46000	74	624	46000	74
ირლანდია				86	15000	174	86	15000	174
ისრაელი	15	3000	200	8082	118000	15	8097	121000	15
იტალია	763	95000	125	59	11000	186	822	106000	129
ნიდერლან- დები	40	4000	100				40	4,000	100
რუსეთი				2205	50500	23	2205	50500	23
საუდის არაბეთი				338	30000	89	338	30000	89
სლოვაკეთი	214	15000	70	275	25000	91	489	40000	82
სლოვენია	248	17000	69				248	17000	69
ესპანეთი	121	14000	116				121	14000	116
თურქეთი	28058	2523000	90	201209	1764000	9	229267	4287000	19
უკრაინა	50	2000	40	80	4000	50	130	6000	46
აშშ				2391	1013000	424	2391	1013000	424
უზბეკეთი				60	13000	217	60	13000	217
სულ	31911	2918000	91	295183	2450000	8	327094	5368000	16

შენიშვნა: სადაც ხე-ტყის მხოლოდ წონა იყო მოცემული, გადაყვანილ იქნა მოცულობაში კოეფიციენტის გამოყენებით $1\text{მ}^3 = 0.65 \text{ ტ}$ წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი

როგორც ცხრილიდან სჩანს, საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტი ძალიან ბევრ ქვეყანაში ხდება, რაც მიუთითებს ქართული ხე-ტყის დიდ საექსპორტო პოტენციალზე.

1991 წლიდან დღემდე ძნელია სათბობი შეშის წლური წარმოების ფაქტიური მოცულობის გაანგარიშება, მითუმეტეს, რომ ამ რესურსის არაოფიციალურ წარმოებას კერძო სექტორის მიერ სერიოზული უარყოფითი ზიანი მოსდევს. რამდენადაც ტყეების დიდი ნაწილი მდებარეობს ციკაბო ფერდობებზე, ტყიანი მიწების მხოლოდ დაახლოებით 600 000 ჰა, ანუ 21% ითვლება საექსპლუატაციო ტყეებად. ხე-ტყის არსებული რეზერვის თითქმის 70% განლაგებულია ფერდობებზე, რომელთა ქანობი 25 გრადუსზე მეტს შეადგენს; ასეთ ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება მოითხოვს სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებას, რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხოა და შესაბამისად, გაზრდის საბოლოო პროდუქტის ღირებულებას.

ტყის არამერქნული რესურსები

მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების შესაბამისად, ქვეყანაში ტყის არამერქნული რესურსების მოხმარების სუფთა ღირებულება შეფასებულია 8,35 მლნ აშშ დოლარად, რაც შემდეგნაირად აღიწერება: 1,5 მლნ აშშ დოლარი - სოკო; 0,58 მლნ აშშ დოლარი - თხილი; 2 მლნ აშშ დოლარი - კენკრა და 0,08 მლნ აშშ დოლარი - სამკურნალო მცენარეები. ასევე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან ყოველწლიურად 0,44 მლნ აშშ დოლარი სოჭის თესლის წარმოებისა და ექსპორტიდან და 3,75 მლნ აშშ დოლარი საკვები მასიდან.

ნადირობა და სანადირო სავარგულები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიღებული კანონმდებლობით სანადირო სავარგულების მოწყობისა და ფუნქციონირებისთვის შემუშავდა ახალი სისტემა. ამ დროისთვის ამ სისტემის მიხედვით 14 სანადირო სავარდული მოიცავს 158 926 ჰექტარს, რასაც მომავალში ძლიერი საფუძვლის შექმნა შეუძლია სანადირო ტურიზმისთვის (სანადირო ტურიზმი, ეკოტურიზმი).

ტურიზმი და რეკრეაცია

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველო ყოველწლიურად დაახლოებით 4 მილიონ ტურისტს მასპინძლობდა. საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი ჰქონდა, გააჩნდა რა 102 კურორტი, 15 ათასი ისტორიული ძეგლი (რომელთაგან 4 შესულია UNESCO-ს მსოფლიო საგანძური ჩამონათვალში) და ტურისტების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ძირითადად ტყეებისგან შემდგარი ბუნებრივი ეკოსისტემების მონახულება. სამწუხაროდ, პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად ქვეყანაში ტურისტების ნაკადი მკვეთრად შემცირდა. ტურიზმისა და რეკრეაციის აღორძინება და ხელშეწყობა, როგორც საქართველოს ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულება და შემოსავლების წყარო, შეესაბამება როგორც ქვეყნის ამჟამინდელ ეკონომიკურ პოლიტიკას, ასევე სატყეო დარგის მართვის მდგრადი განვითარების პრინციპებს. საერთაშორისო ექსპერტების გათვლების შესაბამისად, საქართველოს 1 მილიონი ტურისტის მიღება შეუძლია და მიღებულმა შემოსავლებმა შეიძლება

შეადგინოს 1 მლრდ აშშ დოლარამდე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმის, როგორც ტყით სარგებლობის ერთერთი ალტერნატიული ფორმის ხელშეწყობა უაღრესად მნიშვნელოვანია.

საქართველოს ტყის რესურსების გამოყენების შესაძლო მიმართულებების ზემოთ მოცემული მოკლე მიმოხილვა საკმარის საფუძველს იძლევა იმის დასასკვნელად, რომ სატყეო მეურნეობის მდგრადი პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში ადვილი იქნება ტყეში წარმოებულ პროდუქტებზე და მომსახურეობაზე შესაბამისი ნიშის დაკავება როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე, რაც უფრო გაადვილდება, თუკი აღნიშნულ პროდუქტებს და მომსახურეობას დაადასტურებს FSC სერტიფიკატი.

8 საქართველოში ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ხელშესაწყობი ნაბიჯები

ტყის ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი სერტიფიცირების პროცესის ყველა დაინტერესებული მხარეების მიერ ჰარმონიზირებულად განხორციელების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ:

სამთავრობო დონეზე:

- ძირითად მოთხოვნებთან გაცნობა;
- არსებულ კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან შესაძლებელი კონფლიქტის დადგენა;
- ტყის მართვის მოთხოვნებთან მისადაგება;
- ძირითადი პერსონალის წვრთნა სერტიფიცირების მოთხოვნებსა და პროცედურებში;
- ეროვნული სერტიფიცირების სტანდარტის შემუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყეების სერტიფიცირების მნიშვნელობაზე.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დონეზე:

- ძირითად მოთხოვნებთან გაცნობა;
- პოტენციური დაინტერესებული მხარეების დადგენა სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ჯგუფებში;
- ეროვნული FSC ინიციატივის ჩამოყალიბება;
- პირველი ეროვნული სტანდარტის პროექტის შემუშავება;
- საზოგადოებრივი კონსულტაციები;
- სტანდარტის პროექტზე საბოლოო შეთანხმება და FSC წარდგენა დასამტკიცებლად.

ტყის მმართველი ერთეულის/საწარმოს დონეზე:

- გადაწყვეტილების მიღება სერთიფიცირების თაობაზე;
- წესების შესწავლა;
- მასერტიფიცირებელი ორგანოს შერჩევა;
- შეფასების კონტრაქტის ხელმოწერა;
- მომზადება (წვრთნა, პროცედურების გაცნობა, შიდა შეფასება);
- წინასწარი შეფასება - საველე კვლევა მასერტიფიცირებელი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;
- დამატებითი წვრთნები, არსებული პრაქტიკის მისადაგება;
- ძირითადი შეფასება - საველე კვლევა მასერტიფიცირებელი ორგანოს წარმომადგენლის მიერ;
- ანგარიში შეფასების შედეგების შესახებ;
- გადაწყვეტილების მიღება სერთიფიკატის გაცემაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური შეფასება, ტ. არინი, ჯ. სირი, 2000 წ.;
2. RWA International, ტყის სექტორის რაციონალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა: საქართველოს მთავრობა, 2003 წ.;
3. მერაბ მაჭავარიანი, სატყეო პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების ანალიზი ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, FAO FOE/FAOSEC, 2009 წ.;
4. მერაბ მაჭავარიანი, ტყის მართვის სტანდარტები და პრაქტიკა საქართველოში, ENPI FLEG პროგრამა, 2010 წ.

ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისთვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის შესახებ

სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების აღმოსავლეთის ქვეყნების მეორე პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისთვის ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნებში სატყეო სექტორის მართვას. რეგიონულ დონეზე პროგრამა მიზნად ისახავს 2005 წლის სანკტ პეტერბურგის მინისტრიალის დეკლარაციის განხორციელებას და ეხმარება მთავრობებს შეასრულონ აღებული ვალდებულებები დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით. ეროვნულ დონეზე პროგრამა განიხილავს ან გადახედავს სატყეო სექტორის პოლიტიკასა და საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნებში ტყის მდგრადი მართვის, სატყეო სექტორის კარგი მმართველობის დანერგვასა და შესაბამისი ცოდნის გაუმჯობესებას. ადგილობრივ დონეზე პროგრამა ითვალისწინებს ტყის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირებას და ტყის მართვის გაუმჯობესებული პრაქტიკის გამოცდას ველად. მონაწილე ქვეყნებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი და უკრაინა. პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის მიერ. <http://www.enpi-fleg.org>

პროექტის პარტნიორები



ევროკომისია

ევროკავშირი წარმოადგენს განვითარების ხელშეწყობ უმსხვილეს დონორს მსოფლიოში. EuropeAid-ი ევროკომისიის გენერალური დირექტორის აპარატი განვითარებისა და თანამშრომლობის სფეროში - პასუხისმგებელია ევროპის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მსოფლიო მასშტაბით დახმარების გაწევაზე. EuropeAid-ი დახმარებას ახორციელებს ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით, რომლებიც, ძირითადად, მიმართულია ევროკავშირის დახმარების ხარისხისა და მისი ეფექტურობის უზრუნველყოფისაკენ. როგორც განვითარების სფეროს აქტიური და პროაქტიული მოთამაშე, EuropeAid-ი ხელს უწყობს კარგ მმართველობას, ადამიანთა შესაძლებლობებს გაფართოებას და ეკონომიკის განვითარებას. იგი მუშაობს ისეთ საყოველთაო მნიშვნელობის საკითხებზე, როგორცაა შიმშილის აღმოფხვრა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება.

http://ec.europa.eu/index_en.htm




მსოფლიო ბანკი

მსოფლო ბანკის ჯგუფი წარმოადგენს ცოდნისა და დაფინანსების ერთ-ერთ უმსხვილეს წყაროს მსოფლიოში მასში შემავალი 188 წევრი სახელმწიფოსათვის. ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან, მიეკუთვნებიან წევრი ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ამ ორგანიზაციების ფარგლებში უფლებამოსილი არიან მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება ყველა საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკის, ფინანსებისა და განვითარების საკითხების ჩათვლით. მსოფლიო ბანკის ჯგუფი შედგება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუთი ორგანიზაციისაგან. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA) და საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრი (ICSID). თითოეული ეს ორგანიზაცია



განსაკუთრებულ როლს ასრულებს მსოფლიო ბანკის ჯგუფის მისიის შესრულებაში, რომელიც მიმართულია უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრისაკენ ისე, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა საარსებო მინიმუმი დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებია, მნიშვნელოვნად შემცირდეს და არ აღემატებოდეს 3 პროცენტს. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მისიაა, რომ ხელი შეუწყოს გაზიარებულ კეთილდღეობას და ყველა ქვეყანაში შემოსავლის გაზრდას სულ მცირე 40 პროცენტით.

<http://www.worldbank.org>, <http://www.ifc.org>, <http://www.miga.org>



ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) ეხმარება მსოფლიოს გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში არსებული ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტი პრაგმატული გამოსავლის მოძებნაში. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია ბუნების მდგომარეობის შეფასებისა და კონსერვაციისკენ, მისი მოხმარების ეფექტური და სამართლიანი მართვისკენ და პრობლემათა გადაწყვეტის ბუნებრივი გზების მოძიებისკენ ისეთი გლობალური გამოწვევების საპასუხოდ, როგორცაა კლიმატის ცვლილება, მზარდი მოთხოვნილება საკვებზე და განვითარება. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევას მთელს მსოფლიოში, ახორციელებს კონკრეტულ პროექტებს ადგილებზე და ერთმანეთთან აკავშირებს მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს პოლიტიკის, საკანონმდებლო ბაზის და საუკეთესო პრაქტიკის გაუმჯობესება-განვითარების მიზნით. იგი მსოფლიოს უძველესი და უდიდესი გარემოს დაცვითი გლობალური ორგანიზაციაა, რომლის წევრია 1,200-ზე მეტი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია და 11,000-მდე დამოუკიდებელი ექსპერტი 160 ქვეყანაში. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი თავის საქმიანობას მსოფლიო მასშტაბით ახორციელებს 45 ოფისის, 1000-ზე მეტი თანამშრომლისა და ასობით პარტნიორი საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.iucn.org



ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) წარმოადგენს მსოფლიოში ბუნების დაცვის ერთ-ერთ უდიდეს, ავტორიტეტულ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას 5 მილიონი მხარდამჭერითა და 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედი გლობალური ქსელით. ფონდის მისიაა პლანეტის ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის შეჩერება და ისეთი მომავლის შექმნა, სადაც ადამიანები ბუნებასთან ჰარმონიულად იცხოვრებენ. ამ მიზნით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი ხელს უწყობს პლანეტის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და დაბინძურების და რესურსების გადაჭარბებული მოხმარების შემცირებას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.panda.org